ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 3 დეკემბერი 2004 №281 (2302) ფასი 50 თეთრი


უეფას თასი 2004-2005. D: ექვსმიტანილების ჯგუფი

# გასულები და გასვრილები კანიონიოსმა და დინამომ დაგვაბოლეს?



# უეფა კორუმპირების გამოძიებას აპირებს




# დინამოს ეჭვის დინამიტი შეუგდეს

გუშინ **BBC**-ს ჟურნალისტ ფილ ჰარლოუსთან საუბრისას უეფას პრესმდივანმა თქვა: „ჯერჯერობით ინფორმაციას ვაგროვებთ, მერე კი საქმის გამოძიებას შევუდგებით."

**BBC**-ს ჟურნალისტის წერილია, საიდანაც ეს ციტატა მოვიტანეთ, ვრცელი, მაგრამ უემოციოა. ფილ ჰარლოუსთვის ეს, უბრალოდ, მორიგი წერილია, უეფას მოხელისთვის კი მორიგი კომენტარი.

მაგრამ ჩვენთვის ეს ვერ იქნება უბრალო ამბავი, რაკი თბილისის „დინამოს", უკვე მერამდენედ, თამაშის ჩაწყობაში სდებენ ბრალს!

**BBC**-ს ინფორმაციით, ოთხშაბათს „პანიონიოსი" და „დინამო", შესაძლოა, წინასწარ იყვნენ გარიგებულნი შედეგზე.

ის ემოცია, რომელიც ამ ინფორმაციის კითხვისას გაგვიჩნდა, ცოტა მოგვიანებით გამოვხატოთ, ჯერ კი ფაქტებს მივყვეთ.

ბრიტანულ საბუქმეკერო კანტორა „ბეტფაირში" „პანიონიოს" — „დინამოს" მატჩის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გამოჩნდნენ დიდი ფსონის ჩასვლის მსურველები იმაზე, რომ პირველ ტაიმს „დინამო" მოიგებდა, მატჩი კი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდებოდა.

საფეხბურთო ნიძლავების მოყვარულები უცებ მიხვდებიან, რასაც ნიშნავს ტაიმბოლზე დიდი ფსონის ჩასვლა, თუმცა განმარტება მაინც საჭიროა: მატჩის იმ შედეგს, როცა პირველ ტაიმს ერთი გუნდი იგებს, შეხვედრა კი მეორის სასარგებლოდ მთავრდება, ბუქმეიკერები ძალიან მაღალი კოეფიციენტით აფასებენ, რაკი ასეთი რამ იშვიათად ხდება. ქართულ ტოტალიზატორებში ასეთი შედეგის ალბათობას ერთი ოცთან, ერთი ოცდახუთთანაც აფსებენ და, შესაბამისად, მოგებაც ძალიან დიდია. უფრო მაღალი კოეფიციენტები აქვთ ინგლისში, სადაც ასეთ შედეგზე კოეფიციენტი, ჩვეულებრივ, ერთი ოცდაცამეტთანაა, ანუ, ვიმეორებთ: ალბათობა, რომ თამაში სწორედ ასე წარიმართება, ძალიან მცირეა და მასზე დიდი თანხის დადებას არავინ რისკავს.

„პანიონიოს" — „დინამოს" მატჩის წინ კი, მეფსონეთა ენით რომ ვთქვათ, 2/1 ტაიმბოლზე ხალხი დიდ ფულს ჩადიოდა. ეს ადამიანები ან სულელები იყვნენ, ან რაღაც იცოდნენ...

ფაქტი კი ერთია: დაეჭვებულმა ბუქმეიკერებმა კოეფიციენტი არნახულად დასწიეს და ერთი ოთხზე ჩამოაფასეს.

„ბეტფაირის" წარმომადგენელი ტონი კელვინი ამბობს: „ჩვენ თანამშრომელთა სპეციალური 30-კაციანი ჯგუფი გვყავს, რომლის მოვალეობაც საეჭვო ფსონების აღმოჩენაა."

ჰოდა, აღმოაჩინეს კიდეც. მათი აღმოჩენა კი **BBC**-ს ჟურნალისტის და უეფას ყურამდე მივიდა.

ფაქტები, აი, ეს არის. არანაირი უტყუარი მტკიცებულება, რომ თამაში მართლა გარიგებული იყო, არ არსებობს. მაგრამ მტკიცებულებების გარდა არსებობს ეჭვებიც, რომლის ქონის უფლებასაც ვერავის აუკრძალავ.

ერთი ამბავი გვახსენდება, რომელიც დიდხანს იყო სალაპარაკო. როცა „ლივერპულის" მეკარე ბრიუს გრობელაარი თამაშების გაყიდვაში ამხილეს და სასამართლოც დაინიშნა, მოსამართლემ პროცესის ბოლოს დაუვიწყარი სიტყვები თქვა: „მე მჯერა, რომ გრობელაარი დამნაშავეა, მაგრამ საკმარისი სამხილების უქონლობის გამო კანონი მავალდებულებს, გავამართლო."

ჩვენ ინგლისელი მოსამართლის მიერ წლების წინ ნათქვამი სიტყვები შეგვიძლია ასე მოვთარგმნოთ: ჩვენ არ გვსურს, დავიჯეროთ, რომ „დინამო" ბინძური გარიგების მონაწილეა, მაგრამ რომ აღმოჩნდეს, არ გაგვიკვირდება, რადგან:

— საქართველოს ჩემპიონატის დაარსებიდან უამრავ მატჩზე გაგვჩენია ეჭვი, რომ ის გარიგებული იყო;

— ქართული კლუბი ერთხელ უკვე იყო მოკვეთილი უეფას მიერ მსაჯების მოსყიდვის გამო;

— ქართული კლუბის პრეზიდენტმა ერთხელ უკვე თქვა, რომ მისმა ფეხბურთელებმა საევროთასო მატჩი გაყიდეს;

და რაც მთავარია: ვინც ვალდებულია, რომ თითოეული ასეთი ეჭვი, თუნდაც უსაფუძვლო იყოს, გამოიძიოს, წლების მანძილზე ყურიდან ყურში უშვებს ამ ეჭვებს. დაუსჯელობა კი უცილობლად ბადებს ახალ დანაშაულს.

დღეს კი ფაქტია: თავში მოყვანილი ფაქტები ტყუილი და ვიღაცის ბინძური პროვოკაციაც რომ იყოს, გულშემატკივართა ძალიან დიდი ნაწილი მაინც ირწმუნებს, რომ „დინამომ" მართლა ითამაშა გარიგებული მატჩი. ეს ადამიანები დამცირებულად იგრძნობენ თავს, რაკი დარწმუნებულები იქნებიან, რომ მათ ალალ სიხარულსა და ტკივილზე, „დინამოს" ყოველ გამარჯვებას თუ დამარცხებას რომ ახლდა, ვიღაც იცინოდა.

**კოტე კეკელია**

# საშობაო კონტრაქტი კახა კალაძისთვის

**საქართველოს** ნაკრების კაპიტან კახა კალაძეს გუშინ იტალიური „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი შეხვდა და სიტყვა ახალ კონტრაქტზე ჩამოუგდო.

როგორც ერთ-ერთი იტალიური ვებ-გვერდი წერს, თუ კალაძემ ახალ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, „მილანში" 2009 წლამდე დარჩება.

„დიახ, გალიანისთან შეხვედრისას ამ საკითხზე ვილაპარაკეთ. სინიორ გალიანიმ პირდაპირ მითხრა, მეც და კარლო ანჩელოტიც შენით ძალიან კმაყოფილები ვართ და გვსურს, ჩვენთან დარჩეო" — ამბობს კახა.

კალაძე იქვე დასძენს: „ადრიანო გალიანიმ ახალი კონტრაქტი შემომთავაზა, იანვარშივე გავაფორმოთო. ვნახოთ, არსად მეჩქარება, თუმცა ისიცაა, „მილანიდან" წასვლა ნაღდად არ მსურს".

**გიორგი ვაშაკიძე**




## უეფას თასი
ჯგუფური ეტაპი: IV ტური

**ეგალეო 2:2 ლაციო**

1:0 ხლოროსი (9), 1:1, 1:2 მუცი (13, 36), 2:2 აგრიტისი (54)

**პარტიზანი 1:1 ვილიარეალი**

0:1 რ. კაზორლა (17), 1:1 ი. ტომიჩი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| პარტიზანი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:3 | 5 |
| ვილიარეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ლაციო | 4 | 0 | 3 | 1 | 5:7 | 3 |
| ეგალეო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

**ბოლო ტური: 15 დეკემბერი**

მიდლსბრო — პარტიზანი
ვილიარეალი — ეგალეო

### F ჯგუფი

**ალკმაარი 1:0 რეინჯერსი**

1:0 ლანძაატი (8)

რეინჯერსი: შ. კლოსი, ხიზანიშვილი, ბოლი, ბუმსონგი, ენდრიუსი, მალკოლმი (ს. შიუზი 72), ა. რაე, რიკსენი, პრსო, ლოვენკრანდსი (ნამუში 46), ნოვო

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: ბოლი, მალკოლმი

მსაჯი: ალონ იეფეტი (ისრაელი)

8 343 მაყურებელი

**ოსერი 5:1 ამიკა**

1:0 მინო (1), 2:0 პიერონი (4), 2:1 კრიშალოვიჩი (17), 3:1, 4:1 პიერონი (24, 26), 5:1 ბ. კალუ (55)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| რეინჯერსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:1 | 6 |
| ოსერი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| გრაცერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ამიკა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:16 | 0 |

**ბოლო ტური: 15 დეკემბერი**

რეინჯერსი — ოსერი
გრაცერი — ალკმაარი

### G ჯგუფი

**ბევერენი 0:3 ბენფიკა**

0:1 სიმაო (5), 0:2, 0:3 ზაჰოვიჩი (21, 59)

**დინამო 2:2 ჰერენვენი**

1:0 ბოშნიაკი (15), 2:0 პრანჯიჩი (57), 2:1 უ. ილდირიმი (84), 2:2 ჰუნტელაარი (89პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 8:5 | 4 |
| ჰერენვენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ბევერენი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:14 | 0 |

**ბოლო ტური: 15 დეკემბერი**

ჰერენვენი — ბევერენი
შტუტგარტი — დინამო

### H ჯგუფი

**ალემანია 2:2 ზენიტი**

1:0 მეიერი (25), 1:1 რადიმოვი (38პ), 1:2 გორშკოვი (76), 2:2 ბლანკი (90)

**სევილია 3:2 აეკ**

0:1 ლიბეროპულოსი (10), 1:1 ბაპტისტა (19), 2:1 ანტონიტო (29), 2:2 გიორგიოპულოსი (47), 3:2 ბაპტისტა (89პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ლილი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:6 | 5 |
| ალემანია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| აეკ | 3 | 0 | 0 | 3 | 4:10 | 0 |

**ბოლო ტური: 15 დეკემბერი**

ლილი — სევილია
აეკ — ალემანია

## როიალ ლიგა

A ჯგუფი. III ტური

ესბიერგი 1:2 რუსენბორგი
ვოლერენგა 3:1 იურგორდენი

B ჯგუფი. III ტური

ტრომსიო 0:0 კოპენჰაგენი
ბრონდბიუ 0:1 გიოტებორგი

C ჯგუფი. III ტური

ოდენსე 2:2 ჰალმსტადი
ბრანი 4:1 მალმიო

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა
XIV ტური

ვოლინი 1:3 შახტარი



# აკაკი დევაძე სერიოზულად ხუმრობს

## ნაკრები: სულ მე უნდა ვითამაშო
## თბილისი: ავდგები და სხვაგან დავდგები

კვირაზე მეტია, საქართველოს ნაკრებისა და „თბილისის" მეკარე აკაკი დევაძე მოედანზე არ გასულა. კაკოს ვირუსი შეეყარა და სიცხიანობის გამო გუნდს ვერც ეროვნულ ჩემპიონატში ეხმარება, ვერც თასზე. ბუნებრივია, მისი ჯანმრთელობით დავინტერესდით და უკეთესობა რომ შევატყვეთ, სხვა ამბებიც გამოვიკითხეთ, სათქმელს რა გამოგვილევდა...

— რამდენიმე დღეა, სიცხიანი ვწევარ, მაგრამ თანდათან უკეთესობას ვგრძნობ. მგონი, მალე ვარჯიშსაც განვაახლებ. სეზონი თითქმის კი ჩამთავრდა და ცუდია, გუნდს რომ ბოლომდე ვერ დავეხმარე, თუმცა „თბილისმა" ბოლო ორი თამაში უჩემოდაც მოიგო.

**— ჩანს, კარგი შემცვლელი გეზრდება. „თბილისი" — „ტორპედოს" სათასო მატჩში ბექა შეყრილაძემ საკმაოდ კარგად ითამაშა და რამდენიმე უძნელესი ბურთი აიღო...**

— ბექა მართლაც ძალიან ნიჭიერია. კარგი მონაცემები აქვს და სულ მისი გულშემატკივარი ვიქნები. ძალიან მინდა, რომ ბექა სულაც პირველი მეკარე იყოს „თბილისში". მის ასაკში საუკეთესოდ მიმაჩნია და იმედი მაქვს, წინსვლას გააგრძელებს.

**— ძალიან მინდა, შეყრილაძე პირველი მეკარე გახდესო, თქვი და შენ? შენ ხომ საქართველოს ნაკრების წევრი ხარ და სათადარიგოობას თანხმდები?**

— არა, ეგ არ მითქვამს. ავდგები და სხვა კლუბში ვითამაშებ. შეყრილაძეს გზას არ გავუმრუდებ.

**— ეგ როგორ?**

— მე ხომ ისედაც „ბათუმს" ვეკუთვნი. „თბილისში" განათხოვრებული ვარ და იჯარის ვადა 9 დეკემბერს იწურება.

**— ანუ „ბათუმში" ბრუნდები?**

— კონტრაქტით „ბათუმს" ვეკუთვნი. ამბობენ, ამ გუნდს ფინანსური პრობლემები აქვსო, მაგრამ ამას მალე გავარკვევ და მერე მეცოდინება, სად ვითამაშებ.

**— კეთილი. პასუხი დაახლოებით კი ვიცი, მაგრამ მაინც გკითხავ: ეს წელი რით იყო შენთვის გამორჩეული?**

— რა თქმა უნდა, ნაკრებში დაბრუნებით. ეს ჩემი ოცნება იყო და ავიხდინე კიდეც. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ ნაკრებში ჩემს თამაშს დადებითად ვაფასებ, უბრალოდ, ფაქტს აღვნიშნავ — ეროვნულ გუნდში დავბრუნდი.

**— ამ ნაკრებმა კი გულშემატკივარს იმედი გაუჩინა...**

— უბედნიერესი კაცი ვარ, რადგან ამაში მეც ვმონაწილეობ. ნაკრებში 1993-96 წლებშიც ვთამაშობდი და გულშემატკივარი არც მაშინ გვემდუროდა. ახლაც ავთამაშდით და ხალხი სტადიონზე დავაბრუნეთ. ეს ძალიან მიხარია.

**— გამოდის, კარგი ფეხი გქონია...**

— ჰო, სულ მე უნდა ვითამაშო ნაკრებში და ავშენდებით. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე კი, ნაკრები ჩემთვის ყველაფერია და ძალიან მინდა, წარმატებებს მივაღწიოთ. ქართველი ხალხი ამას იმსახურებს.

**ბახა შალამბერიძე**

# ჩიმაკაძე არველაძეს მპირდება

## ტანვარჯიში, ორი გაცდენილი წელი და პირადი მწვრთნელი

*გოგიტა გოგუა, „თბილისის" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი ჩვენში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელია. ის ძალიან კარგად მოძრაობს მოედანზე და ძალიან შეუპოვარია. მისით თავის დროზე ალენ ჟირესიც დაინტერესდა და აგვისტოში მოლდოვის ეროვნულ ნაკრებთან მატჩისთვისაც გამოიძახა, თუმცა გოგუამ საქართველოს ჩემპიონატში ტრავმა მიიღო და ეროვნულ ნაკრებშიც ჯერჯერობით არ უთამაშია.*

*მასთან ინტერვიუში კი რამდენიმე უჩვეულო და ალბათ საინტერესო რამესაც ამოიკითხავთ. მანამდე გეტყვით, რომ ის ნელინადნახევრის წინ მივიდა „თბილისში", როცა გუნდს რევაზ ლორთქიფანიძე წვრთნიდა. გუნდი გერმანიაში წავიდა სეზონისწინა შეკრებაზე, სადაც გოგუამ შორეული დარტყმებითა და ბრძოლისუნარიანობით მოაწონა მწვრთნელს თავი და მაშინ ვადაწყდა მისი „თბილისის" პირველ გუნდში აყვანა...*

— როგორც ფეხბურთელი, შენს საუკეთესო თვისებად რას მიიჩნევ?

— მინდორზე ბრძოლას.

— მხოლოდ?

— ვცდილობ, ბევრი ვიმუშავო, გავაკეთო ის, რაც შემიძლია და რაც არ შემიძლია.

— „თბილისამდე" ფეხბურთს საკმაო ხნით საერთოდ არ გაპკარებიხარ...

— როცა თბილისის „დინამოს" რევაზ არველაძე ხელმძღვანელობდა, მაშინ „დინამო 2"-ში ვიყავი. მერე „დინამოში" რაღა-რაღაცები შეიცვალა და „დინამო 2"-იც დაიშალა. გული ამიცრუვდა და ორი წელი ფეხბურთისთვის თავი დანებებული მქონდა.

— და რას საქმიანობდი ეს ორი წელი?

— არაფერს, უბანში ვთამაშობდი ხოლმე ფეხბურთს და საერთოდ იქ, სადაც ბურთი გაჩნდებოდა, თუმც არც ერთ გუნდში არ ვიყავი და არც ვვარჯიშობდი, არ მქონდა მიზნად დიდი ფეხბურთის თამაში.

— და როგორ გაგიჩნდა ეს მიზანი?

— ასეთი მიზანი ჯემალ ჩიმაკაძემ და გიორგი დევდარიანმა ჩამისახეს.

— ჩიმაკაძე შოთა არველაძისთვის, ფაქტობრივად, პირადი მწვრთნელი იყო — შენ შემთხვევაშიც ასეა?

— ნამდვილად ეგრეა, მაგრამ არა მარტო ფეხბურთში — ჩიმაკაძე ცხოვრებაშიც გვერდში მიდგას. ახლა უკვე თავდაჯერებული ვარ, რომ მიზანს მივაღწევ, ანუ დიდ ფეხბურთს ვითამაშებ.

— „თბილისს" ახლა დევდარიანი აღარ წვრთნის — რა სიახლე მოიტანა გუნდში ლუის ცაკარიასმა?

— დევდარიანი უფრო შემტევ ფეხბურთს გვათამაშებდა, ვიდრე ცაკარიასი. დისციპლინა დევდარიანის დროსაც იყო „თბილისში", მაგრამ ის პირველ რიგში ჩვენი, ფეხბურთელების მეგობარი იყო, ცაკარიასი კი უფრო მომთხოვნია. ცაკარიასი თამაშმოგებული გუნდის შემადგენლობას და ტაქტიკას არ ცვლის, დევდარიანი კი შემადგენლობას იმის მიხედვით ადგენდა, თუ ვარჯიშზე ვინ როგორ წარმოაჩენდა თავს.

— თამაშის წინ როგორ ემზადები?

— თამაშამდე ორი დღე ვისვენებ, აქეთ-იქით სიარულს ვერიდები, ტელევიზორს ჩავუჯდები ხოლმე ფეხბურთის საყურებლად.

— თამაშის შემდეგ რას აკეთებ?

— თამაშის მერეც სახლში მივდივარ, მეორე დღეს კი სწორედ ამ თამაშს ვუყურებ რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად.

— ვის უფრო მეტი საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს, „თბილისს" თუ „დინამოს"? ამაზე ბევრს კამათობენ და შენ რას იტყოდი?

— ამაში „თბილისი" „დინამოს" აღემატება. რა თქმა უნდა, „დინამოშიც" რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენთან ასეთი უფრო მეტია. თანაც „თბილისის" ძირითად შემადგენლობაში უფრო მეტი ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს, ვიდრე ასაკიანი, „დინამოში" პირიქითაა — თერთმეტ კაცში გამოცდილი ფეხბურთელი უფრო მეტადაა, ვიდრე ახალგაზრდა.

**— „თბილისის" ხელმძღვანელობამ გუნდს საამსეზონოდ რა კონკრეტული მიზანი დაუსახა?**

— აქცენტს თასის აღებაზე გავაკეთებთ და ჩემპიონატში რაც შეიძლება მაღალი ადგილისთვის ვიბრძოლებთ.



— საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესო საყრდენ ნახევარმცველად ვის მიიჩნევ?

— ალეკო გოგობერიშვილს.

— ახალგაზრდულ ნაკრებში ალბანეთთან თამაშისას მეტოქეს შეაფურთხე, რის გამოც გაგაძევეს და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოგცეს — საქართველოს ჩემპიონატში ასეთი რამ არასოდეს გაგიკეთებია და ნაკრებში რა მოგივიდა?

— მეტოქემ ჩამარტყა და ნერვები ველარ მოვთოკე, რაც ალბათ გამოუცდელობის ბრალი იყო. იგივეს ნამდვილად აღარ გავიმეორებ, ეს ინციდენტი ჭკუის სასწავლებელი იყო.

— მოედანზე კარგად რომ მოძრაობ, ამას სათანადო ფიზმომზადება სჭირდება — ტრენაჟორებზე ვარჯიშობ?

— კი, გუნდთან ერთად და ცალკეც — ჩიმაკაძეს დავყავარ.

— და ჩიმაკაძე გპირდება, რომ არანაკლები კარიერა გექნება, ვიდრე, ვთქვათ, შოთა არველაძეს?

— ეგრეა, ჩიმაკაძე ამას მართლაც მპირდება — არველაძეებმა ბევრი იმუშავეს საკუთარ თავზე და შრომა დაუფასდათო.

— ფეხბურთის გარდა კიდევ რა გიყვარს?

— კინოში სიარული.

— და ფეხბურთის გარდა კიდევ რაში ხარ ძლიერი?

— ძალიან მაგარი ვიყავი ტანვარჯიშში, ბატუტზეც კი ვხტებოდი. სხვათა შორის, ტანვარჯიშზე სიარულიც ჩიმაკაძემ მირჩია.

**დავით თავართქილაძე**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# რა სპა, რა სპარინგი!



საგაისო დანია — საქართველო შალკელებს ისევ შეახვედრებს: კრისტიან პოულსენი და ლევან კობიაშვილი

## დანია

**მსოფლიოს** 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები გაისად განახლდება, გუნდები კი უკვე მოსამზადებელ გრაფიკზე მუშაობენ.

საქართველოს ნაკრებს ერთი ამხანაგური მატჩი უკვე დაბევებული აქვს — ალენ ჟირესის გუნდი 9 თებერვალს ლიტვას ეთამაშება. ჩვენმა მეტოქე დანიამ კი უფრო შორს გაიხედა და საქმეც გაჩარხა — 17 აგვისტოს ვიკინგები ინგლისს გაეჯიბრებიან. მორტენ ოლსენის თქმით, ეს სპარინგი მნიშვნელოვნად დაეხმარება მის გუნდს გადამწყვეტი ტურებისთვის. შეგახსენებთ, რომ 3 სექტემბერს დანია თურქეთში ჩადის, 7 სექტემბერს კი საქართველოს ისტუმრებს.

მოკლედ, ინგლისი დანიას კოპენჰაგენში ეთამაშება და საინტერესოა, რას ფიქრობს ალბიონელთა შვედი თავკაცი სვენ გორან-ერიკსონი ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტზე: „დანიას მსოფლიოში მაღალი რეპუტაცია აქვს. გამორჩეულად შემტევი ფეხბურთის მიმდევარია და ვფიქრობ, ურთულესი სპარინგი გვექნება. ეს შეხვედრა შესარჩევი ეტაპის მატჩებისთვის მოსამზადებლად ძალიან დაგვეხმარება."

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ 17 აგვისტოს საქართველოს ნაკრებიც არ იქნება უქმად — ალმათიში ყაზახეთს ეთამაშება.

# ბოლნისის სიონისთვის მადნეული ნაყოფიერი

## ექვსი-შვიდი ფეხბურთელი, როგორც ჰაერი



პეტრე დანელია

„სიონი" თუ ჯანზეა, „თამაზ სტეფანიაზე" ყურთასმენა აღარ არის.

...მაგრამ ეს შარშან იყო, წლეულს კი ბოლნისელებს უმაღლესი ჯგუფიდან გასავარდნად აქვთ საქმე და დიდი იმედები არც ბოლო ტურში „ზესტაფონთან" მოგებით მისცემიათ. კლუბი ზამთრის შესვენებას ელის, შემადგენლობა უნდა გავაძლიეროთ, თორემ ჯგუფში დარჩენაზე ფიქრიც კი ფუჭიაო.

გაძლიერებას კი ფული სჭირდება და როგორც „სიონის" დირექტორატის წევრმა პეტრე დანელიამ გვითხრა, „მადნეულის" დირექტორი კობა ნაყოფია თანხების გაღებას აპირებს: „ნაყოფია თანადგომას დაგვპირდა და მჯერა, სიტყვას შეასრულებს. რა გვინდა? 6-7 კაცის დამატება. უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ძლიერ ფეხბურთელებს ვგულისხმობ, თორემ რეგიონალლიგიდან მოყვანილები დღესაც გვყავს და რა შეუძლიათ, აგერ ვხედავთ... ტრანსფერები აუცილებლად იქნება, ეს გადაწყვეტილი ამბავია. გარდა ამისა, შემუშავდა გუნდის განვითარების პროგრამა: ეს ეხება ბაზის აშენებას, რომელიც ორი გვაქვს, მაგრამ არცერთი არვარგა. სტადიონის მინდვრის საფარსაც უნდა მივხედოთ".

პეტრე დანელიასვე თქმით, 15-20 დეკემბერს „სიონის" ხელმძღვანელობა „მადნეულის" დირექტორ კობა ნაყოფიასთან კლუბის მომავალზე ისაუბრებს და შესაძლოა, პირველი ტრანსფერებიც იმავ დღეებში გაიჩარხოს...

**ილია ნანობაშვილი**

# ზემოთ სიურპრიზები არ იყო. არც საიდუმლო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 15 | 12 | 1 | 2 | 42:20 | 37 |
| ამერი | 15 | 11 | 1 | 3 | 45:7 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 10 | 3 | 2 | 25:8 | 33 |
| სპარტაკი | 15 | 9 | 6 | 0 | 29:15 | 33 |
| კახეთი | 15 | 10 | 1 | 4 | 27:20 | 31 |
| დინამო 2 | 15 | 8 | 1 | 6 | 38:24 | 25 |
| ცხინვალი | 15 | 6 | 3 | 6 | 21:20 | 21 |
| გურია | 15 | 6 | 3 | 6 | 16:21 | 21 |
| ჩიხურა | 15 | 6 | 2 | 7 | 15:18 | 20 |
| ივერია | 15 | 5 | 5 | 5 | 15:17 | 20 |
| ლოკომოტივი 2 | 15 | 5 | 4 | 6 | 21:22 | 19 |
| მილანი-მერანი | 15 | 4 | 1 | 10 | 19:30 | 13 |
| ოლიმპი | 15 | 3 | 3 | 9 | 14:26 | 12 |
| რუსთავი | 15 | 3 | 1 | 11 | 16:31 | 10 |
| საგარეჯო | 15 | 1 | 4 | 10 | 13:39 | 7 |
| მალაროელი | 15 | 0 | 3 | 12 | 7:45 | 3 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა — საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა — 16 — პირველი წრე — მიმოხილვა

**პირველ** ლიგაში პირველი წრე „გურიასა" და „მილანის" გადადებული მატჩით დასრულდა და თხუთმეტ გუნდს ზამთრის არდადეგები დაეწყო. მეთექვსმეტეს, თბილისის „ამერს", თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი დარჩა სათამაშო „ვიტ ჯორჯიასთან" და არდადეგები ამის მერეღა დაეწყება.

პირველი წრის მერე ცხრილში გუნდების განლაგება სეზონისწინა პროგნოზებს რომ შევადაროთ, აღმოჩნდება, რომ პირველ წრეს რაიმე გამორჩეული სიურპრიზების გარეშე ჩაუვლია. უმაღლეს ლიგაში ალზევების უმთავრეს პრეტენდენტებად „ბორჯომს", „ამერს" და „სპარტაკს" ასახელებდნენ და ცხრილსაც სწორედ ისინი უდგანან თავში. დაწინაურებულთა შორის არის მცხეთის „ვიტ ჯორჯიაც", ოღონდ საქართველოს ჩემპიონის ფარმ-კლუბი უმაღლესში გადასასვლელ ბრძოლაში არ მონაწილეობს. მეორე წრეში წარმატებით თამაშის შემთხვევაში საუმაღლესლიგო ადგილზე გასვლის შანსი თელავის „კახეთსაც" აქვს, მის ქვემოთ მყოფი გუნდებისგან კი დიდ მიზანს შეჭიდება წარმოუდგენლად ჩანს.

უმაღლეს ლიგაში კი მხოლოდ პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები გადადიან.

ლიდერი „ბორჯომი" მე-6 ტურიდან ჩაუდგა სათავეში ცხრილს და მას მერე ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია. ერთხანს ხუთი ქულითაც უსწრებდა უახლოეს მდევარს. მე-6 ტურამდე კი ლიდერი „ამერი" იყო, რომელიც ზედიზედ სამმა მარცხმა მეოთხე ადგილამდე დააქვეითა, ბორჯომელებს ბოლო ტურამდე ექვსი ქულით ჩამორჩებოდა, ბოლო ტურში „ბორჯომთან" გამარჯვებამ კი ერთბაშად მეორე ადგილზე აიყვანა და ლიდერს სამ ქულამდე მიაახლოვა.

ერთი დაკვირვება: „ბორჯომმა" პირველ წრეში მხოლოდ ორჯერ წააგო და ორივეჯერ უშუალო კონკურენტებთან „სპარტაკთან" და „ამერთან", ამ ორ მატჩში შვიდი გოლი გაუშვა და მხოლოდ ერთი გაიტანა. ამის გათვალისწინებით „ბორჯომის" ლიდერობის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ ეგრეთ წოდებულ უეჭველად მოსაგებ მატჩებში ქულებს არ კარგავდა.

ამ მხრივ საპირისპიროდაა „სპარტაკის" საქმე — ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდისა პირველ წრეში. „სპარტაკმა" „ბორჯომიც" დაამარცხა და „ამერიც", მაგრამ რამდენიმე შეხვედრაში მოულოდნელად დაკარგა ქულები. ორი ასეთი მატჩი გავიხსენოთ: „კახეთთან" და „საგარეჯოსთან" „სპარტაკი" 90-ე წუთამდე იგებდა, წამატებულ დროში კი გოლები გაუშვა და ოთხი ქულა დაკარგა. თუნდაც ამ ქულების გათვალისწინებით „სპარტაკს" „ბორჯომთან" გათანაბრება შეეძლო.

იგივე შეგვიძლია ვთქვათ „ამერზეც", რომლის ვერმოგებული მატჩებიდანაც ორია გამოსარჩევი: „დინამო 2"-თან „ამერი" იგებდა, სამჯერ ბურთი ძელს გაარტყა, სხვა უამრავი მომენტიც შექმნა, დინამოელები კი სამი იერიშიდან ორ გოლს გამორჩნენ. გარდა ამისა, „ამერმა" „ვიტ ჯორჯიასთან" 85-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა და უგოლო ფრეს დასჯერდა.

ცხრილის მეორე ბოლოში უიმედოდ მოქცეულა ლიგის ახალწვეული „მალაროელი", რომელსაც რეგიონულ ლიგაში გამარჯვების მერე ფეხბურთელები შემოეფანტნენ, ახალგაზრდული შემადგენლობით კი ფონს ვერ გადის.

ბევრად უკეთეს დღეში არც „საგარეჯოა" და ისიც საფიქრებელია, რომ „რუსთავსაც" ძალიან გაუჭირდება.

ხოლო თუ ვინ იქნება მეოთხე გასავარდნი გუნდი, საკმაოდ ძნელი სავარაუდოა. „მილანი-მერანი" ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი და ისიც ძნელად დასაჯერებელია, რომ „თბილისის" ფარმ-კლუბი „ოლიმპი" დანებდეს იოლად.

ბოლოს, ორიოდ სიტყვა ბომბარდირებზეც: სპარტაკელ დიმიტრი ტატანაშვილს და ამერელ სულიკო დავითაშვილს 12-12 გოლი აქვთ გატანილი.

**ირაკლი ნინიძე**



უმაღლესი ლიგის ორგზის მთავარმცველი, ამერელი სულიკო დავითაშვილი პირველ წრეში გატანილი 12 გოლით პირველი ლიგის ბომბარდირთაგანაა

# უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

**A ჯგუფი**

**ფეიენოორდი 2:1 შალკე**

0:1 ჰანკე (7), 1:1, 2:1 ს. კალუ (32, 41)
შალკე: ფ. როსტი, ჰამიტ ალტინტოპი, ვალდოხი, კრსტაიჩი, ბანდერი (ასამოა 46), უდე კამპუისი (დელურა 64), კ. პოულსენი, ვერმანტი, ქობიაშვილი, აილტონი (სანდი 64), ჰანკე
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: კრსტაიჩი
მსაჯი: დევიდ მესიასი (ინგლისი)
48 000 მაყურებელი

**ფერენცვაროში 1:2 ბაზელი**

1:0 როსა (22), 1:1 ს. როსი (59), 1:2 ჰუგელი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| შალკე | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| ბაზელი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ჰართსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ფერენცვაროში | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

**ბოლო ტური: 16 დეკემბერი**

**ჰართსი — ფერენცვაროში ბაზელი — ფეიენოორდი**

**B ჯგუფი**

**ბილბაო 1:0 სტიაუა**

1:0 ხ. ეჩებერია (45)

**ბეშიქთაში 1:1 სტანდარდი**

1:0 ოკანი (30), 1:1 ბანგურა (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| ბილბაო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| სტანდარდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| პარმა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |

**ბოლო ტური: 16 დეკემბერი**

**სტანდარდი — ბილბაო პარმა — ბეშიქთაში**

**C ჯგუფი**

**აუსტრია 1:1 ბრიუგე**

1:0 გილევიჩი (50), 1:1 ლანგე (90)

**სარაგოსა 2:1 დნიპრო**

0:1 იეზერსკი (2), 1:1 სავიო (10), 2:1 ხენერელო (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| სარაგოსა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ბრიუგე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| აუსტრია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| უტრეხტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

**ბოლო ტური: 16 დეკემბერი**

**ბრიუგე — სარაგოსა უტრეხტი — აუსტრია**

**D ჯგუფი**

**სპორტინგი 0:1 სოშო**

0:1 ლონფატი (2)
სპორტინგი: რიკარდუ, ბეტუ სევერუ, რუი ჟორჟე, ანდერსონ პოლგა, ენაკარპირე, პედრუ ბარბოსა (დანი 68), უგო ვიანა, როჟერიუ (რ. ტელო 79), როჩემბაკი, ლიდსონი, დუალა
მწვრთნელი: ჟოზე პეშეირო
სოშო: რიშერი, პეისლი, ო. დაფი, ტალი, ს. დიავარა (ლავო 90), იზაბეი, პიტო, ლონფატი, მატიე, სანტუში (ილანი 77), ზაირი (მენეზი 70)
მწვრთნელი: გი ლაკომბი
გაფრთხილება: ენაკარპირე, პიტო, ტალი, პეისლი, ბეტუ სევერუ, ილანი
მსაჯი: ჰელმუტ ფლაიშერი (გერმანია)
21 349 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| სოშო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| პანიონიოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | 3 |
| დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

**ბოლო ტური: 16 დეკემბერი**

**ნიუკასლი — სპორტინგი სოშო — პანიონიოსი**



„ბეშიქთაში" — „სტანდარდი". თურქულ-ბელგიური ომი მშვიდობით დამთავრდა

## ბილბაომ რუმინეთი გაიცნო

### A ჯგუფი

რალფ რანგნიკმა როტერდამში რუუდ გულიტთან წააგო, მაგრამ ორივე გუნდი ჯგუფიდან გავიდა. „შალკეს" მწვრთნელმა პირველ ტაიმში ებე სანდი და ჯერალდ ასამოა დაასვენა. შესვენების შემდეგ ორივე კი ათამაშა, მაგრამ „ხუმარებმა" გათანაბრება მაინც ვერ შეძლეს.

სტუმრები მაიკ ჰანკემ დააწინაურა. სვენ ვერმანტმა კუთხურიდან ჩააწოდა ბურთი, რომელიც პოულსენმა ჰანკეს თავით დაუგდო და მანაც ბადე შიგნიდან ააფართხალა.

„ფეიენოორდმა" ტაიმის მიწურულს ზედიზედ ორჯერ იხეირა. სალომონ კალუმ ორჯერვე დირკ კუიტის პასით გაიტანა. ჯერ ვალდოხს აჯობა და როსტიც ზედ მიაყოლა, მერე კი თავით შეაგდო სტუმართა კარში. თავად კუიტიც ერთხელ პირისპირ გავიდა როსტთან, მაგრამ მეკარემ ბურთი ფეხით მოიგერია.

ბუდაპეშტშიც, როგორც როტერდამში, პირველი გოლის გამტანი დამარცხდა. ბაზელელმა ბორის სმილინიჩმა ალექსანდარ ბაიევსკი საპენალტოდ წააქცია. თერთმეტი მეტრიდან დარტყმული ბურთი პასკალ ცუბერბიულერმა მოიგერია, მაგრამ დამატებაზე როსამ იყოჩაღა და თავით გაიტანა. სტუმრებმა მეორე ტაიმის ოც წუთში მატჩის ბედი სათავისოდ შეატრიალეს. ხულიო ერნან როსიმ კლებერის პასით გაათანაბრა, ჰუგელმა კი მეორე შეაგდო. 85-ე წუთზე „ბაზელის" კარში პენალტი დანიშნეს, რომელიც მასპინძელთა მეკარემ უხეიროდ შეასრულა — ბურთი ჩარჩოს ააცილა.

### B ჯგუფი

ბიბლაოს „ატლეტიკი" ევროთასებზე 1956 წლიდან თამაშობს, მაგრამ რუმინულ კლუბს პირველად შეხვდა და კიდეც დაამარცხა. ბასკებს მეტის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ „სტიაუას" მეკარე ვალერი ხომუტოვსკიმ ისეთი ბურთები მოიგერია, მისსავე მწვრთნელს, იტალიის ნაკრების ყოფილ მეკარეს, ვალტერ ძენგასაც შეშურდებოდა. პირველი ტაიმის მიწურულს ხოსება ეჩებერიამ ისმაელ ურსაისინგან მიიღო ბურთი და ცხრიანში შეჭედა. რუმინელებს შესვენების შემდეგ ერთი კარგი მომენტიც ჰქონდათ. ანდრეი კრისტია მცველების ზურგსუკან ჩაუსაფრდა ბურთს და ახლოდან სასწაულებრივ ააცილა კარს.

ლიეჟის „სტანდარდმა" წინა ტურში „პარმას" ბოლო წუთზე გამოგლიჯა გამარჯვება. ამჯერად კი სტამბოლიდან ასევე გვიანი გოლით ქულა წაიღო. ვისენტე დელ ბოსკეს ტრავმირებული ფორვარდი იონ კარეუ აკლდა და „ბეშიქთაშს" შეტევაში ამიტომაც გაუჭირდა.

სერგენ იალჩინმა ოკან ბურუკი რუნიეს პირისპირ შეჰყარა. ოკანი მეკარეს გასცდა და იოლად გაიტანა. სერგენმა ხუთი წუთის შემდეგ ასეთივე პასი იბრაჰიმ აკინს გაუხერხა, მაგრამ მან ბურთი კარს ააცილა.

მეორე ტაიმში სტუმარმა ოგუჩი ონიევემ და მასპინძელმა ემრე აშიკმა ჩხუბიც მოასწრეს და მსაჯმა ორივე გააფრთხილა. ამას მერე კი ერიკ დეფლანდრეს პასით სამბეგო ბანგურამ თავური დარტყმით იხეირა და „სტანდარდს" ჯგუფიდნ გასვლის შანსი შეუნარჩუნა.

### C ჯგუფი

„დნიპრო", რომელმაც საგაზაფხულოდ ადგილი უკვე გაინაღდა, სარაგოსაში მეორე წუთზე დაწინაურდა. იეზერსკიმ მცველებს საჯარიმოში აჯობა და ლუის გარსიას თავით გაუტანა. მასპინძლებმა მალე გაათანაბრეს. სავიომ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა, ბურთი ცხრიანში ისე გაახვია, რომ მეკარე ვიაჩესლავ კორნოზენკოს ფეხი არ მოუცვლია. შეცვლაზე შესულმა ხენერელომ საჯარიმოს ხაზიდან სტუმრებს მეორე გაუტანა და „სარაგოსა" ჯგუფში მეორე ადგილზე გადავიდა.

„აუსტრიას" სამი ქულა ერიკ ლანგემ ბოლოწამს არ დაანება. ანგარიში გილევიჩმა მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა, შემდეგ სტუმრებს ერთი ფეხბურთელი გაუძევეს, მაგრამ „ბრიუგე" მაინც მიაწვა. ლანგეს დარტყმული ბურთი გეზნაცვალი შევარდა „აუსტრიას" კარში.

### D ჯგუფი

„ნიუკასლთან" ოთხი გოლის გაშვების შემდეგ „სოშომ" დაცვაში თამაში გამოასწორა და „სპორტინგს" მოუგო. პორტუგალიელებმა თბილისში „დინამოს" მცველთა შეცდომების წყალობით გაილაღეს და ლისაბონში თავადაც იგივე დაემართათ. ანდერსონ პოლგას ბურთი ლონფატმა მოპარა და რიკარდუს გაუტანა. ფრანგებმა მეორე ტაიმში რამდენიმე ხელსაყრელი ეპიზოდი გაანიავეს. ჯავად ზაირიმ ახლოდან პირდაპირ რიკარდუს ჩააბარა ბურთი, ხოლო მეკარესთან პირისპირ გასულმა მენეზმა კარს ააცილა.

**ვაჟა ხუციშვილი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხის ჭიბრზე, ჭიბრილ!

ჯიბრილ სისე საავადმყოფოდან „რკინის ფეხით" გამოვიდა. „ლივერპულის" ფრანგი ფორვარდი ოქტომბერგი „ბლექბერნთან" მატჩში დაშავდა — მარცხენა ფეხის წვივი ორ ადგილას დაემტვრა. ექიმებს მოედანზევე რომ არ ეშველათ, ალბათ დაინვალიდდებოდა.

„ძალიან მძიმე ტრავმა მივიღე. მეშინოდა, ცალფეხა არ დავრჩენილიყავი. ძვლები არასწორად შეხორცდა და ხელმეორე ოპერაცია დამჭირდა. თავიდან საშინელ დეპრესიაში ჩავვარდი, მაგრამ მერე დავფიქრდი, რამდენ ხალხს უჭირს მსოფლიოში? ზოგს საჭმელი ენატრება, მე კი ფეხს მივტიროდი".

ჯიბრილ სისე უკვე შეეგუა იმას, რომ ერთი წელი ფეხბურთს ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, ფეხი შერჩა და მოედანსაც დაუბრუნდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ბიტის კექს-ბომბი

ლუდის ბარებში ინგლისელ ფეხბურთელთა სილაღის ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი. ორიოდ კვირის წინ სტენ კოლიმორი დუბლინურ დუქანში ღრეობდა და დაცვამ იოლად გამოაძუნძულა. სამაგიეროდ, ჯეიმს ბიტი აღმოჩნდა ყოჩაღი და ბარიდან ძლივს გაათრიეს.

„საუთჰემპტონის" მეგოლე პაბში მეგობრებთან გვარიანად გამობრუჟული შეღრღეტდა და აურია. ბარის პატრონს კექსი ესროლა. როცა მცველები დასაშოშმინებლად ეცნენ, ღრიალი დაიწყო. კვირაში 15 ათას გირვანქას ვიჯიბავ და ჩემს ჭიას როგორც მინდა, ისე გავახარებო. ბიტს პოლიციელები აკავებდნენ, მაგრამ დაუსხლტა, კექსით თავპირგასვრილ პატრონს მუშტი ჰკრა და სათვალე დაუმტვრია.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ურუგვაი**

კლაუსურა. VII ტური

დანუბიო — დეფენსორ სპორტინგი 0:0; რენტისტასი — პენიაროლი 2:2; უონდერერსი — ფენიქსი 1:1; პლაზა კოლონია — ლივერპული 1:2; სერიტო — ნასიონალი 2:2

# ცივი სალამი და პენალტები

## მაურინიუ ნაძირალაა და ვცემ!

**ინგლისი**

**ლიგის თასის 1/4 ფინალი**

**მანჩესტერ იუნ. 1:0 არსენალი**
1:0 ბელიონი (1)
**ტოტენჰემი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 0:0) ლივერპული**
1:0 დეფო (108), 1:1 სინამა-პონიოლი (117პ)

**ნახევარფინალის წყვილები**
**ჩელსი — მანჩესტერ იუნაიტედი**
**ლივერპული — უოტფორდი**

*მატჩები გაიმართება 2005 წლის 11-12 იანვარს*


ქოზე მაურინიუს პორტუში დახვედრა ელის, მტრისას!

ლიგის თასისთვის ბრძოლა, რასაც სპონსორის გამო ქარლინგის ლუდის თასიც ეწოდება, ნახევარფინალებამდე მივიდა. დიდი გუნდები ამ შეჯიბრში სარეზერვო შემადგენლობებს იყენებენ ხოლმე და მაინც შორს მიდიან.

ოთხშაბათს „მანჩესტერის" დუბლებმა დევიდ ბელიონის მე-19 წამზე გატანილი გოლით 1:0 მოუგეს „არსენალის" დუბლებს და ახლა ნახევარფინალში „ჩელსის" შეხვდებიან. „ლივერპულის" თითქმის სამარქაფოებმა კი 120-წუთიანი 1:1-ის შემდეგ პენალტებით დაამარცხეს „ტოტენჰემის" არცთუ რეზერვისტები და მეორე ნახევარფინალში „უოტფორდს" შეხვდებიან. ამ თამაშის ორივე გოლი ბოლო თხუთმეტ წუთში გავიდა: „ტოტენჰემი" 108-ე წუთიდან იგებდა ჯერმენ დეფოს გოლით, რომელიც ფრედი კანუტის ჭკვიანურ გარღვევას მოჰყვა, მაგრამ იმავ კანუტიმ, ჩამოწოდებული კუთხურს ხელი შეაგება და მსაჯმა პენალტი დანიშნა. სინამა-პონიოლმა გაათანაბრა და ამას მატჩისშემდგომი პენალტებიც მოჰყვა. ორ-ორი გუნდებმა უშეცდომოდ დაარტყეს, უბედურება კი კვლავ ელოდა კანუტს, ვისაც ირუი დუდეკმა აუღო. ამის შემდეგ პოლ რობინსონმა ანგარიში ყაიმად დატოვა, რადგან მანაც აუღო დარენ პოტერს. მერე ტოტენჰემელმა მაიკლ ბრაუნმა ცაში დაარტყა და ამის შემდეგ პენალტები აღარ გაფუჭებულა, „ლივერპულმა" 4:3 მოიგო. „მანჩესტერ" — „არსენალის" თამაშში შემადგენლობათა საშუალო ასაკი 20 წელი იყო და თუმც, პირველებმა მოიგეს, სერ ალექსმა მაინც იპოვნა საჩივლელი: მან თქვა, რომ ასოციაციამ აუცილებლად უნდა დასაჯოს მეთოფე რობინ ვან პერსი, რომელმაც მანჩესტერელ რიჩარდსონს იდაყვი სთხლიშა სახეში. არსენ ვენგერმა კი წაგების მიუხედავად თავისი ყმაწვილები შეაქო და თქვა, ვან პერსის ნერვებს ჩვენ მივხედავთო.

და კიდევ, ფერგიმ და ვენგერმა


ეროვნული ბიბლიოთეკა
სინამა-პონიოლის პენალტით „ლივერპული" ნახევარფინალში გავიდა

პირველად, თუმცაღა ცივად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს იმ სკანდალური თამაშის შემდეგ, რომელსაც „მეთოფეთა" მარცხი და ფერგიუსონის პიცის ნაჭრებით დაბომბვა მოჰვა „ოლდ ტრეფორდზე".

იმასთან დაკავშირებით, რომ „მანჩესტერი" „ჩელსის" გადაეყარა ნახევარფინალში, ცხადია, ილაპარაკა ჟოზე მაურინიუმაც. მან თქვა, რომ სწორედ „მანჩესტერია" მისი მთავარი კონკურენტი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში და არა „არსენალი". „მანჩესტერი" ჩვენსავით გუნდია, ორი მთავარი ფეხბურთელი ჰყავს, რომლებსაც ყველაფერი ხელეწიფებათ მინდორზე. „არსენალს" დიდი მოთამაშენი ჰყავს ძირითადში, მაგრამ ისინი ვერ თამაშობენ".

რაც შეეხება თავად მაურინიუს, მას „პორტუს" მოთამაშე ელდერ მოტა ბრალს სდებს, ჩემს ცოლს საყვარლობდაო. მაურინიუ კი უარყოფს. ხოლო იმ კვირაში „პორტუ" „ჩელსის" მასპინძლობს ჩემპიონთა ლიგაში.

„ეგ კაცი ავადმყოფი და ნაძირალაა" — ამბობს მოტა. ამ ორთა ჩხუბი ძველია და მოტა იმუქრება, გავლახავო, თუმც, მაურინიუ მაინც აპირებს პორტუში ჩასვლას.

**ირაკლი გამყრელიძე**

# არიგო საკი: რეალი სახელს გამოეკიდა

ესპანური მედია ამტკიცებს: მადრიდის „რეალის" მომდევნო მწვრთნელი არიგო საკი იქნებაო.

მოგეხსენებათ, „რეალის" პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს გუნდის განთქმული მწვრთნელებისთვის ჩაბარება უყვარს და თავის დროზე სწორედ ამიტომ ვერ მოიგო მისი გული ჩემპიონთა ლიგის ორგზის მომგებმა ვისენტე დელ ბოსკემ, ხოლო რაც მოჰყვა ულვაშა მწვრთნელის გაშვებას და ვარსკვლავური იმიჯის მქონე მწვრთნელების მოყვანას, ამაზე ნულარ შევჩერდებით.

მოკლედ, არიგო საკის ჟურნალისტები გადაწყვეტილ ამბად თვლიან და ჩვენ ის გავიხსენოთ, რომ „სკუადრა აძურას" ყოფილი ბოსი ადრეც მუშაობდა ესპანეთში. 1998-99 წლების სეზონში ის მადრიდის „ატლეტიკოს" ედგა სათავეში, მაგრამ როდის იყო, ცხონებული ხესუს ხილი, „ატლეტიკოს" ლეგენდარული პრეზიდენტი, ვინმეს დიდხანს აჩერებდა მწვრთნელის პოსტზე. ხილმა საკი 22 მატჩის მერე გაუშვა. ამ 22 შეხვედრაში საკის მონაგარი 9 მოგება, 5 ფრე და 8 წაგება იყო.

დღეს საკი „პარმას" კონსულტანტია. მწვრთნელად კი ორი წელია, აღარ უმუშავია. ბოლოს ის სულ რაღაც ორი კვირა წვრთნიდა „პარმას", მერე თქვა, ამხელა სტრესს ველარ ვუძლებო და გადადგა. ვითომ „რეალში" სტრესი არ ექნება?



**ირაკლი ნინიძე**



# ისევ შენ და ისევ შენ...

## კასანოს რომში არ ასვენებენ

სადმე ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი რომ გამოჩნდება, მაშინვე აგორდება ხოლმე ხმები, ამა და ამ დიდ გუნდებს სურთ მისი გადაბირებაო. ერთი ასეთი ფეხბურთელი ანტონიო კასანოც არის და ეჭვი გვაქვს, დიდი ხნის გაყიდული იქნებოდა, რომაელი რომ არ იყოს — „რომა" ის გუნდი არ არის, თავის ვარსკვლავებს იოლად ელეოდეს.

უკვე რამდენჯერ ითქვა, რომ კასანოს ხელში ჩაგდება „რეალს", „ინტერს" და „იუვენტუსს" სურთ. მაგრამ ამ საქმიდან ჯერჯერობით არაფერი გამოსულა და კასანო 2006 წლის ზაფხულამდე „რომას" საკუთრებად რჩება.

კასანოს ტრანსფერის თაობაზე ლაპარაკი ერთ ხანს მიჩუმებული იყო და ახლა ისევ დაიწყო. ამ ლაპარაკის განახლების მიზეზი კი „რეალისგან" წამოსული ახალი შეთავაზება გახდა. დაუდასტურებელი ინფორმაციით, „რეალი" „რომას" კასანოს სანაცვლოდ 17 მილიონ გირვანქას და ფერნანდო მორიენტესის იჯარას სთავაზობს. სხვათა შორის, „რეალი" მზად ყოფილა, მორიენტესი იტალიაში იანვარშივე გააგზავნოს, კასანოს კი მადრიდში ივნისამდე დაელოდოს.

„რეალის" შეთავაზება, დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავად გამოიყურება. სხვა მთხოვნელების ვარიანტები კი ასეთია.

„ინტერი": 11 მილიონი გირვანქა და ერთი ფეხბურთელი, რომლის ვინაობაც უცნობია.

„იუვენტუსი": 8 მილიონი გირვანქა, პლუს ნიკოლა ლეგროტალიე და როდრიგო ტადეი. აქ საინტერესო ის არის, რომ ტადეი „სიენას" საკუთრებაა და „რომას" რომ გადაულოცოს, ტურინელებს ჯერ სიენელებთან ექნებათ საქმე მოსაგვარებელი.

**კოტე კეკელია**



# მეგობრებთან ერთად?

## რონალდინიო გასულელდა

გუშინ გაზეთ „კონტროკამპოში" ასეთ ციტატას ამოიკითხავდით: „სიამოვნებით გადავიდოდი „მილანში", რადგან იქ ჩემი ბევრი მეგობარი თამაშობს, დიდა, კაფუ, კაკა, სერჟინიო" — ეს ციტატა რონალდინიოს ეკუთვნის.

მართალია, რონალდინიო იქვე დასძენს, „ბარსელონაში" თავს ჩინებულად ვგრძნობო, მაგრამ რაკი ისეთი რამ თქვა, ან სისულელე მოუვიდა, ან რაღაც საეჭვო ამბავთან გვაქვს საქმე.

# ბარსამ წამალი ტურინში იშოვა

## ტაკინარდი ახალ წელს კატალონიაში შეხვდება



ცინცხალი ამბავი ტურინიდან: ალესიო ტაკინარდი საახალწლოდ დატოვებს „იუვენტუსს" და „ბარსელონაში" გადავა.

თავისთავად ინფორმაცია ამ ტრანსფერის თაობაზე აქამდეც არსებობდა, მაგრამ ტურინელები ჯიუტად უარყოფდნენ, არაფერზე ვართ შეთანხმებული. სიახლე კი ის გახლავთ, რომ იტალიელმა ჟურნალისტებმა გამოჩხრიკეს: შეთანხმება მიღწეულია და ფეხბურთელის ტურინიდან ბარსელონაში წასვლა უმოკლესი დროის ამბავია.

ტაკინარდიმ სეზონში განაახლა კონტრაქტი „იუვესთან", მაგრამ მას მერე კლუბში ბევრი რამ შეიცვალა. მათგან მთავარი ახალი მწვრთნელის მისვლაა, რომლის გეგმებშიც ტაკინარდი ვერაფრით ეწერება. ასე რომ, ტაკინარდის 10-წლიანი ტურინული კარიერა ბოლო თვეს ითვლის.

„ბარსელონას" კი ყოფილი ატალანტელი ნახევარმცველი გახშირებული ტრავმების გამო დასჭირდა.

კატალონიელებს რომაელ ოლივიე დაკურზეც ედგათ თვალი, მაგრამ გუშინ ვწერდით, ფრანგის გადაბირება „იუვენტუსს" სურს და ისიც ალბათ, ძველი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს გზას დაადგება.

გეხსომებათ, წინა ზამთარში „იუვენტუსს" და „ბარსელონას" შორის ანალოგიური გარიგება უკვე მოხდა. მაშინ კატალონიელებმა ედგარ დავიდსი წაიყვანეს ნახევარდაცვაში გაჩენილი ხვრელების ამოსავსებად.

**კოტე კეკელია**

# შოტლანდია სმიტისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გლაზგოს „რეინჯერსისა" და „ევერტონის" ყოფილ მწვრთნელ უოლტერ სმიტს შოტლანდიის ნაკრები ჩააბარეს. სმიტმა პირველ ნოემბერს გათავისუფლებული გერმანელი ბერტი ფოგტსი შეცვალა.

„რეინჯერსმა" სმიტის ხელში 13-ჯერ მოიგო სხვადასხვა ჯილდო, მაგრამ „ევერტონში" გადასულს პრემიერლიგაში ხელი მოეცარა. 2002 წელს იგი „ევერტონიდან" გაუშვეს.

ბერტი ფოგტსის თავკაცობით შოტლანდიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის სამ ტურში მხოლოდ ორი ქულა მოაგროვა და ჯგუფში მეხუთე ადგილზეა.

უოლტერ სმიტს ეროვნულ გუნდში ადრეც უმუშავია. 1986 წელს იგი ალექს ფერგიუსონის თანაშემწე იყო სქოთთა ნაკრებში. ფეხბურთელობისას უოლტერ სმიტი „დანდი იუნაიტედში" და „დამბარტონში" თამაშობდა. 1979 წელს „დანდი იუნაიტედში" მწვრთნელის დამხმარედ დაბრუნდა. გუნდმა 1980-ში შოტლანდიის ჩემპიონატი მოიგო და უეფას თასის ნახევარფინალშიც გავიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კლინსმანის ოჯახური

## ცოლებს ქმრების ახატიათ






იურგენ კლინსმანმა გერმანიის საფეხბურთო თემი ამ დღეებში თავისი მორიგი ინიციატივით გააკვირვა. მას და მის თანაშემწე ოლივერ ბირჰოფს გადაუწყვეტიათ, რომ ზედ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წინ ნაკრებს ხუთდღიანი არდადეგები მოუწყონ ჩრდილოეთის ზღვის სახუროშო კუნძულ სილტზე. მთავარი კი ის არის, რომ ფეხბურთელებთან ერთად კუნძულზე მათი მეუღლეები ან მეგობარი გოგონები და შვილებიც იქნებიან. ბუნდესნაკრების შეფები თვლიან, რომ ამგვარი ოჯახურ-ლიანგური დროსტარება გუნდში საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებასა და საჩემპიონატოდ საჭირო განწყობის შემარაგებას შეუწყობს ხელს.

კლინსმანის ამ გადაწყვეტილებას საფეხბურთო თემში ერთგვაროვანი რეაქცია არ გამოუწვევია, მავანნი — და უმთავრესად სწორედ მოთამაშეთა ცოლები — ამ სიახლეს აღტაცებით შეხვდნენ, სხვები კი ფიქრობენ, რომ ხუთდღიანი მოთენთვა ჩაფიქრებულის საპირისპირო ეფექტს გამოიღებს და გუნდური სულისკვეთების ამაღლების ნაცვლად მის დემორალიზებას გამოიწვევს. თუმცა იმაზე, რომ იდეა ერთობ ორიგინალურია, აბსოლუტურად ყველა თანხმდება. გამონაკლისი ამ თვალსაზრისით არც ყოველდღიური „ბილდია", რომელმაც სცადა, დაახლოებით მაინც წარმოედგინა, თუ როგორ იქნებიან ჩაცმულნი ფეხბურთელთა ცოლები სილტურ პლაჟებზე. „ბილდმა" ბარაქიან და ხორცსავსე მოდელ ანინას ფოტომონტაჟის მეშვეობით ბუნდესსიმბოლიკიანი აზლუდ-ბიკინი მოარგო და ივარაუდა, რომ ფეხბურთელთა ცოლები მათი სხეულების უცენტრალურეს ალაგზე სწორედ მეუღლეთა ნომრებს მიიხატავენ.

**ლევან კელაურაძე**

# ტევესი სამშობლოდან მარადონას გაექცა

„ბოკა ხუნიორსიდან" „კორინთიანსში" კარლოს ტევესის გადასვლამ კლუბის პრეზიდენტი მაურისიო მაკრი გაანაწყენა. პრეზიდენტს სურს, რომ ამის შემდეგ გუნდიდან 21-წლამდელი ფეხბურთელები აღარ გაუშვას.

თავად ტევესმა წასვლის მიზეზი ასე ახსნა: „მე და ჩემი ოჯახი არგენტინაში თავს უსაფრთხოდ ვერ ვგრძნობთ. არგენტინა ის ქვეყანა არ არის, სადაც კერპებს სათუთად ეპყრობიან. როგორც კი პოპულარული გავხდი, მაშინვე მივხვდი, თუ რაოდენ რთული იყო ცხოვრება მარადონასთვის. ყოველდღე, სადაც არ უნდა გავიარო, თაყვანისმცემლები და ჟურნალისტები მოსვენებას არ მაძლევენ. ბრაზილია ამ მხრივ სულ სხვაა. ნახეთ, როგორი დამოკიდებულება აქვთ პელესთან. ვიმედოვნებ, რომ ბრაზილიიდან უფრო იოლად აღმოვჩნდები ევროპაში".

რაც შეეხება „ბოკ ხუნიორსს", 1996 წლის შემდეგ ამ კლუბმა ფეხბურთელების გაყიდვით დიდძალი ფული იშოვა. 48 მოთამაშე გაასხვისა და სალარო 153 მილიონ 670 ათასი დოლარით შეავსო. ჯერ ხუან სებასტიან ვერონი 5 მილიონ დოლარად „სამპდორიაში" გაუშვა. 2000 წელს ვალტერ სამუელი „რომას" სარეკორდო ფასად, 22 მილიონ 500 ათას დოლარად დაუთმო, მერე ხუან რომან რიკელმე „ბარსელონამ" წაიყვანა და „ბოკა ხუნიორს" 11 მილიონი ჩაუთვალა, ტევესამდე კი მოსკოვის „სპარტაკს" კლემენტე როდრიგესი 4 მილიონ დოლარად მიჰყიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# მე ეს შემიძლია

## შევჩენკოს თმა და ამბიცია გაეზარდა



| 15122 | უდინეზე-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15154 | ალბასეტე-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15155 | ატლეტიკო-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15156 | ბარსელონა-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15157 | ლევანტე-ხეტაფე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15158 | მალიორკა-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15159 | რასინგი-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15160 | სევილია-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15161 | სოსიედადი-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15162 | ვილიარეალი-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15163 | სარაგოსა-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ჩელსი-ნიუკასლი | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11002 | არსენალი-ბირმინგემი | 1.7 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11003 | ასტონ ვილა-ლივერპული | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11004 | ნორვიჩი-ფულემი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11005 | ევერტონი-ბოლტონი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11006 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11007 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11008 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11009 | კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11010 | მიდლსბრო-სიტი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11052 | არმინია-ჰანზა | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11053 | ფრაიბურგი-ვერდერი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 3.0 |
| 11054 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11055 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11056 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11057 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11058 | შტუტგარტი-ბოხუმი | 2.2 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11059 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11060 | დორტმუნდი-შალკე | 3.7 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11113 | კალიარი-კიევო | 3.1 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11114 | ფიორენტინა-ბოლონია | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11115 | ინტერი-მესინა | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.4 | 4.8 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11116 | იუვენტუსი-ლაციო | 1.8 | 12.0 | 25.0 | 3.4 | 4.8 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11117 | ლეჩე-ლივორნო | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11118 | პალერმო-ატალანტა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11119 | პარმა-მილანი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11120 | რეჯინა-ბრეშა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11121 | რომა-სამპდორია | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11122 | უდინეზე-სიენა | 2.4 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11154 | ალბასეტე-ვალენსია | 4.8 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.2 | 20.0 | 10.0 | 3.1 |
| 11155 | ატლეტიკო-ოსასუნა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11156 | ბარსელონა-მალაგა | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11157 | ლევანტე-ხეტაფე | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11158 | მალიორკა-ნუმანსია | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11159 | რასინგი-დეპორტივო | 4.2 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11160 | სევილია-ბილბაო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11161 | სოსიედადი-ბეტისი | 3.5 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.4 |
| 11162 | ვილიარეალი-რეალი | 5.3 | 10.0 | 20.0 | 6.0 | 4.4 | 4.0 | 20.0 | 10.0 | 2.9 |
| 11163 | სარაგოსა-ესპანიოლი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12001 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.8 | 1.8 |
| 12002 | არსენალი-ბირმინგემი | 1.9 | 1.7 |
| 12003 | ასტონ ვილა-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 12004 | ნორვიჩი-ფულემი | 1.7 | 1.9 |
| 12005 | ევერტონი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12006 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 2.0 | 1.6 |
| 12007 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12008 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 12009 | კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 12010 | მიდლსბრო-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 12052 | არმინია-ჰანზა | 1.9 | 1.7 |
| 12053 | ფრაიბურგი-ვერდერი | 2.0 | 1.6 |
| 12054 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 2.0 | 1.6 |
| 12055 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.9 | 1.7 |
| 12056 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 2.1 | 1.5 |
| 12057 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 2.0 | 1.6 |
| 12058 | შტუტგარტი-ბოხუმი | 2.0 | 1.6 |
| 12059 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.9 | 1.7 |
| 12060 | დორტმუნდი-შალკე | 1.8 | 1.8 |
| 12113 | კალიარი-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 12114 | ფიორენტინა-ბოლონია | 1.6 | 2.0 |
| 12115 | ინტერი-მესინა | 1.9 | 1.7 |
| 12116 | იუვენტუსი-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 12117 | ლეჩე-ლივორნო | 2.0 | 1.6 |
| 12118 | პალერმო-ატალანტა | 1.6 | 2.0 |
| 12119 | პარმა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 12120 | რეჯინა-ბრეშა | 1.6 | 2.0 |
| 12121 | რომა-სამპდორია | 1.9 | 1.7 |
| 12122 | უდინეზე-სიენა | 1.7 | 1.9 |
| 12154 | ალბასეტე-ვალენსია | 1.6 | 2.0 |
| 12155 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.6 | 2.0 |
| 12156 | ბარსელონა-მალაგა | 2.0 | 1.6 |
| 12157 | ლევანტე-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 12158 | მალიორკა-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 12159 | რასინგი-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12160 | სევილია-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12161 | სოსიედადი-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 12162 | ვილიარეალი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 12163 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13001 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.7 | 1.9 |
| 13002 | არსენალი-ბირმინგემი | 1.8 | 1.8 |
| 13003 | ასტონ ვილა-ლივერპული | 1.7 | 1.9 |
| 13004 | ნორვიჩი-ფულემი | 1.7 | 1.9 |
| 13005 | ევერტონი-ბოლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13006 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.7 | 1.9 |
| 13007 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13008 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1.7 | 1.9 |
| 13009 | კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 1.7 | 1.9 |
| 13010 | მიდლსბრო-სიტი | 1.7 | 1.9 |
| 13052 | არმინია-ჰანზა | 1.6 | 2.0 |
| 13053 | ფრაიბურგი-ვერდერი | 1.5 | 2.1 |
| 13054 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1.6 | 2.0 |
| 13055 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.7 | 1.9 |
| 13056 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1.6 | 1.95 |
| 13057 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 13058 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.6 | 2.0 |
| 13059 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.7 | 1.9 |
| 13060 | დორტმუნდი-შალკე | 1.7 | 1.9 |
| 13113 | კალიარი-კიევო | 1.6 | 2.0 |
| 13114 | ფიორენტინა-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 13115 | ინტერი-მესინა | 1.6 | 2.0 |
| 13116 | იუვენტუსი-ლაციო | 1.7 | 1.9 |
| 13117 | ლეჩე-ლივორნო | 1.6 | 2.0 |
| 13118 | პალერმო-ატალანტა | 1.7 | 1.9 |
| 13119 | პარმა-მილანი | 1.7 | 1.9 |
| 13120 | რეჯინა-ბრეშა | 1.6 | 2.0 |
| 13121 | რომა-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13122 | უდინეზე-სიენა | 1.7 | 1.9 |
| 13154 | ალბასეტე-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 13155 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.6 | 2.0 |
| 13156 | ბარსელონა-მალაგა | 1.9 | 1.7 |
| 13157 | ლევანტე-ხეტაფე | 1.7 | 1.9 |
| 13158 | მალიორკა-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 13159 | რასინგი-დეპორტივო | 1.6 | 2.0 |
| 13160 | სევილია-ბილბაო | 1.6 | 2.0 |
| 13161 | სოსიედადი-ბეტისი | 1.7 | 1.9 |
| 13162 | ვილიარეალი-რეალი | 1.7 | 1.9 |
| 13163 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1.6 | 2.0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ჩელსი-ნიუკასლი | 1.3 | 2.5 |
| 14002 | არსენალი-ბირმინგემი | 1.2 | 2.6 |
| 14003 | ასტონ ვილა-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 14004 | ნორვიჩი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 14005 | ევერტონი-ბოლტონი | 1.75 | 2.1 |
| 14006 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.2 | 2.6 |
| 14007 | პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 1.65 | 2.3 |
| 14008 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1.85 | 1.95 |
| 14009 | კრისტალ პალასი-ჩარლტონი | 1.8 | 2.0 |
| 14010 | მიდლსბრო-სიტი | 1.7 | 2.2 |
| 14052 | არმინია-ჰანზა | 1.45 | 2.4 |
| 14053 | ფრაიბურგი-ვერდერი | 2.1 | 1.75 |
| 14054 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1.65 | 2.3 |
| 14055 | ჰერტა-მიონხენგლადბახი | 1.45 | 2.4 |
| 14056 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1.65 | 2.3 |
| 14057 | ნიურნბერგი-ბაიერნი | 2.4 | 1.45 |
| 14058 | შტუტგარტი-ბოხუმი | 1.3 | 2.5 |
| 14059 | კაიზერსლაუტერნი-მაინცი | 1.7 | 2.2 |
| 14060 | დორტმუნდი-შალკე | 1.9 | 1.9 |
| 14113 | კალიარი-კიევო | 1.75 | 2.1 |
| 14114 | ფიორენტინა-ბოლონია | 1.65 | 2.3 |
| 14115 | ინტერი-მესინა | 1.2 | 2.6 |
| 14116 | იუვენტუსი-ლაციო | 1.2 | 2.6 |
| 14117 | ლეჩე-ლივორნო | 1.7 | 2.2 |
| 14118 | პალერმო-ატალანტა | 1.3 | 2.5 |
| 14119 | პარმა-მილანი | 2.4 | 1.45 |
| 14120 | რეჯინა-ბრეშა | 1.75 | 2.1 |
| 14121 | რომა-სამპდორია | 1.65 | 2.3 |
| 14122 | უდინეზე-სიენა | 1.45 | 2.4 |
| 14154 | ალბასეტე-ვალენსია | 2.1 | 1.75 |
| 14155 | ატლეტიკო-ოსასუნა | 1.7 | 2.2 |
| 14156 | ბარსელონა-მალაგა | 1.15 | 2.7 |
| 14157 | ლევანტე-ხეტაფე | 1.65 | 2.3 |
| 14158 | მალიორკა-ნუმანსია | 1.7 | 2.2 |
| 14159 | რასინგი-დეპორტივო | 1.95 | 1.85 |
| 14160 | სევილია-ბილბაო | 1.65 | 2.3 |
| 14161 | სოსიედადი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 14162 | ვილიარეალი-რეალი | 2.1 | 1.75 |
| 14163 | სარაგოსა-ესპანიოლი | 1.6 | 2.0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარცხს არ შევეგუები

## რამაზ ფალიანი რკინის ქალამნებს ჩაიცვამს

სამოყვარულო კრივში თითქმის ყველა დიდი ტიტულის მომხვეჭი, ამჟამად კი პროფესიულად მოკრივე რამაზ ფალიანი თვეზე მეტია, საქართველოშია. ბოლო წლებში ამერიკაში მყოფმა სამშობლოს კრივის ფედერაციის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მოაშურა, თუმც ყრილობაზე, რომელიც დამთავრებამდე დატოვა, საპრეზიდენტო არჩევნებამდე საქმე არც მიულა. ფალიანმა მაშინვე თქვა, სანამ ამ საქმეს არ მოვაგვარებ, ამერიკაში წასვლაზე არც ვიფიქრებო. გუშინ მისი თბილისური ნომერი ავკრიფეთ იმის იმედად, რომ თავად აიღებდა. მოლოდინი გაგვიმართლდა და აგერ ინტერვიუც





გიორგი კანდელაკი

— ყრილობის შემდეგ საქართველო არ დამიტოვებია და ჯერჯერობით არც ვაპირებ. მაშინ რომ შუა ყრილობიდან წამოვედი, სულაც არ ნიშნავდა, თითქოს მარცხს შევეგუე. უბრალოდ, იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა. სიმართლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებ და იმედია, ახალ არჩევნებსაც ჩავატარებინებ.

**— იმ ყრილობაზევე რატომ არ მოითხოვე არჩევნების ჩატარება?**

— მაშინ რომ საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდებოდა, მეც ვიცოდი და პრეზიდენტმა გიორგი კანდელაკმაც. ჩვენ წინასწარვე შევთანხმდით, არჩევნების თარიღი ყრილობაზე გადაგვეწყვიტა. სავარაუდოდ, ერთ-ორ თვეში უნდა ჩატარებულიყო, ყრილობას კი სხვა საკითხებზე ემსჯელა. მოულოდნელად გადაწყვიტეს, ორი წლით არაფერი შეცვლილიყო, ხოლო გიორგი კანდელაკმა მასმედიის საშუალებით განაცხადა, მე და რამაზმა მოვილაპარაკეთ, არჩევნები გადაიდოსო. ის კი აღარ უთქვამს, რომ ჩვენი მოლაპარაკება მხოლოდ დროებით გადაწევას ეხებოდა.

**— რეალური მოლაპარაკების შესასრულებლად როგორ იბრძვი?**

— კრივში მოტრიალე ხალხს ვხვდები. მათ შორის კანდელაკის მომხრეებსაც და მოლაპარაკებებს ვმართავ. ბევრმა მათგანმა უკვე გააცნობიერა, რომ არასწორად ფიქრობდა. ამასაც ამბობენ, კენჭისყრა რომ ფარულად ჩატარებულიყო, მაშინვე შენ მოგცემდით ხმასო. სალად მოაზროვნე ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას რომ ჩემი მხარე დაეჭირა, არჩევნების შემთხვევაში მაინც ვერ მოვიგებდი, რადგან ხმის უფლება ისეთებს აქვთ, ამ საქმის ინჩიბინჩიც რომ არ იციან. სწორედ ეს იყო კანდელაკის უპირატესობა და არჩევნების გამართვა ამიტომაც იყო უაზრობა. ჩემი მოთხოვნა განმეორებითი არჩევნების უფრო საღ ატმოსფეროში ჩატარებაა.

**— იმ არჩევნების შემდეგ თუ ესაუბრე კანდელაკს?**

— ერთხელ შევუარე ფედერაციაში, თუმც საქმიანი საუბარი არც მაშინ დაგვცალდა. მგონი, სამსჯელოც არაფერია. ერთხელ რაც მოვილაპარაკეთ, ისიც არასწორად გააზმაურა.

**— აბა, ვისთან შეთანხმებით აპირებ რიგგარეშე ყრილობის მოწვევას და არჩევნების ჩატარებას?**

— მინდა, ამ საქმეში სახელმწიფო სტრუქტურის უმაღლესი სპორტული ინსტანციები ჩაერიონ — ქართული კრივის მომავალი თუ აინტერესებთ, მიხვდებიან, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ამ ფედერაციის ხელში პერსპექტივა არ არსებობს.

**— რითი დაამტკიცებ, რომ შენი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება?**

— კრივი ისეთი სპორტია, პატრონი და ზურგია საჭირო. სწორედ ეს აკლია დღეს საქართველოს, თორემ ტალანტები ღვთის მადლით მრავლადაა. მიუხედავად ნიჭიერი თაობისა და მართლა კარგი მწვრთნელის თენგიზ მესხაძის მუშაობისა, დიდი მწვერვალების დაპყრობა წარმოუდგენელია. მიღწევები შეიძლება იყოს, მაგრამ არა ისეთი, ჩვენი ფედერაციის საერთაშორისო ფედერაციასთან ჯანსაღი დამოკიდებულების შემთხვევაში რომ გვექნება. დღეს მსოფლიო კრივის მნიშვნელოვან საკითხებს თურქი ჯანერ დარგანელი წყვეტს. იგი მსოფლიოს ფედერაციის ვიცე-მდივანია. მალე პირველი კაცი ოფიციალურადაც გახდება. ჩვენს ბოლო ყრილობაზე კი იგი ქართველთმოძულედ და საქართველოსადმი მტრულად განწყობილ პიროვნებად მონათლეს. ეს იმიტომ, რომ დარგანელი ჩემი ახლობელია. ხუთი წელი თურქეთის სახელით ვჩხუბობდი და იმ დროიდან ლამის მამაშვილური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ვიღაცას ისიც უთქვამს, დარგანელი უსამართლოდ გვჩაგრავს, აგერ ჩვენს მსაჯს დისკვალიფიკაციაც მისცაო. გულწრფელად გეუბნებით, ის ამის კაცი არ არის. ქართველებს კი არ ჩაგრავს, უბრალოდ ყურადღებას არ აქცევს და ამას ვერც ვერავინ მოსთხოვს. ახლა ხომ ასე ლაპარაკობენ, ტურნირების დრო რომ მოვა, მერე ჩემი ნომერი ახსენდებათ და მირეკავენ, თუ ძმა ხარ, დარგანელს გადაურეკეო. ახლავე ვამბობ, თუ კრივი და მისი მომავალი აინტერესებთ, აქედანვე ჯანსაღად იფიქრონ, საკუთარ კეთილდღეობას საქმე ამჯობინონ, თორემ მერე ნუღარ შემაწუხებენ.

**— ოფიციალურად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად ითვლები. ნუთუ არ შეიძლება, თუნდაც ეს ორი წელი ქართული კრივის წინსვლის საქმე ერთად აკეთოთ?**

— ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ამაზე ფიქრი კიდევ შეიძლებოდა, ახლა კი გამორიცხულია. საქმისადმი და თუნდაც ჩემდამი ცოტა სხვანაირი მიდგომა რომ მეგრძნო, გვერდითაც დავუდგებოდი და თავს არ დავზოგავდი, მაგრამ მსგავსი არაფერი ყოფილა და დღეს აზრს ველარაფერი შემაცვლევინებს.

**— მთავრობასთან შეხვედრა ხომ არ გიცდია?**

— სამწუხაროდ, ჩემი არაერთი მცდელობის მიუხედავად, ეს ვერ მოვახერხე. ერთ-ორ კვირასაც დაველოდები და თუ ზემოდან დაინტერესება ვერ დავინახე, ისევ ჩემს საქმიანობას გავაგრძელებ. პრეზიდენტის სავარძელი ჩემი ოცნება ნამდვილად არ არის. უბრალოდ, გული მტკივა, ქართული კრივის დღევანდელ დღეს და პერსპექტივას რომ ვხედავ. გარდა ამისა, მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრას ერთი უმნიშვნელოვანესი საქმის მოსაგვარებლადაც ვითხოვ. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში პროფესიულ ბრძოლებს საქართველოს დროშით ვატარებ, კანონით თურქეთის მოქალაქედ ვითვლები. როდესაც მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში მამლუქების დაბრუნების შესახებ გააკეთა განცხადება, მგონი, ჩემზე მეტად არავის გახარებია. მინდა, მას პირადად შევხვდე და პასპორტი მივილო, მაგრამ, ჯერჯერობით ამას ვერაფრით ვერ ვახერხებ. მიზეზიც მაქვს. საქართველოში ჩამოსულმა ცოლი მოვიყვანე. 2-3 თვით შესვენება ვერაფერს დამაკლებს. მალე ისევ ავალ რინგზე.

**— პრეზიდენტობის შემთხვევაში როგორ შეათავსებდი ამ ორ საქმეს?**

— მაგაზე უკვე ვიფიქრე. საკრივოდ თბილისიდან ვივლიდი ხოლმე. გამომუშავებულ თანხას კი ქართული კრივის კეთილდღეობისთვის გამოვიყენებდი. სხვათა შორის, იგივეს გააკეთებდნენ ამერიკაში მყოფი სხვა ქართველი პროფესიონალი მოკრივეებიც.

**— ისინიც თქვენს მხარეს არიან?**

— ჩვენთან დღეს არსებული მდგომარეობა მათაც მშვენივრად უწყიან. ასე რომ, ჩემს მხარეს კი არა, ქართული კრივის უკეთესი მომავლის მხარეს არიან.

**— შენ და კობა გოგოლაძე უკვე სერიოზული ტიტულებისთვის იბრძვით. ხომ არ ფიქრობ, რომელიმე პრინციპული ბრძოლა თბილისში ჩაატაროთ?**

— როგორც იცით, ჩვენ ამერიკელი მენეჯერი გვყავს. ბრძოლების ორგანიზებაზეც სწორედ ის ზრუნავს. ქართველი ხალხის თვალწინ ჩხუბი ჩვენთვის უდიდესი ბედნიერება იქნებოდა, თუმც საამისოდ მენეჯერმა რომელიმე აქაური სერიოზული მეკავშირე უნდა იპოვოს. ეს აქამდე ვერაფრით შეძლო, თორემ ისეთ ბრძოლებს გაჩვენებდით და ისეთ მეტოქეებს ჩამოვიყვანდით, წინასწარ რომ ვერავინ გამოიცნობდა გამარჯვებულის ვინაობას.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# დე ლა ჰოიას შანსი აჩუქეს



**ცნობილი** მოკრივე, სოფლიოს ექსჩემპიონი ოსკარ დე ლა ჰოია რინგიდან წასვლას არ აპირებს. გაამერიკებულმა მექსიკელმა განაცხადა, გაისად სექტემბერში დავბრუნდებიო. „ოქროს ბიჭად“ წოდებულ დე ლა ჰოიას მდიდარ პროფესიულ კარიერაში 38 მოგება და 4 მარცხი მოუქუჩებია. ბოლოს მან სექტემბერში წააგო ბერნარდ ჰოპკინსთან, ახლა კი ცოტას ისვენებს: „ჰობკინსთან მზადების პერიოდში ჩემი წონა 66-დან 70 კილოგრამამდე მერყეობდა, წონის შენარჩუნება ჩემთვის პრობლემა არ არის, ასე რომ, გაისადაც საშუალო წონის კატეგორიაში ვიბრძოლებ. ჯერ ვერ გეტყვით, ვინ იქნება ჩემი მომდევნო მეტოქე, მაგრამ არ გამოვრიცხავ, ეს კორი სპინქსი იყოს“ — განაცხადა 31 წლის დე ლა ჰოიამ.

რაც შეეხება სპინქსს, მასაც სურს და გაიძახის — „ოქროს ბიჭთან“ ბრძოლა. მე აბსოლუტური ჩემპიონი ვარ. დე ლა ჰოიას ექვს წონით კატეგორიაში გაუმარჯვია, მაგრამ ჩემსავით ერთ წონაში სამი ქამარი არასოდეს ჰქონია. ახლა კი ოსკარს ამის შანსს ვაძლევ, მაგრამ ისიც იცოდეს, რომ შანსი დიდი არ არის.“

**ილია ნანობაშვილი**



# დევისის თასი

ფინალისწინა მიმოხილვა

## ესპანეთი VS აშშ

„ესტადიო ოლიმპიკო დე სევილია“. სევილია. თიხნარი

ესპანეთი: ხორდი არესე (კაპიტანი); კარლოს მოია, რაფაელ ნადალი, ტომი რობრედო
აშშ: პატრიკ მაკინროი (კაპიტან); ენდი როდიკი, მერდი ფიში, ბობ ბრაიანი, მაიკ ბრაიანი

# ჩოგბურთელები სტადიონზე

## ეპილოგი ანშლაგით ჩაივლის

**ძლეიდან** ვიდრე კვირის ჩათვლით სევილია დევისთასის გადამწყვეტ შეხლას უმასპინძლებს და წლევანდელ სეზონსაც საბოლოოდ დაესმება ჩოგანი. 2000 წლის ჩემპიონი ესპანელები, რომელთაც შარშანდელ ფინალში ლეიტონ ჰიუიტისა და მარკ ფილიპუსისის მიერ ნაყოჩარ ავსტრალიასთან დათმეს, ახლა „ესტადიო ოლიმპიკოს“ თიხნარზე ეცდებიან ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მეორე დევისტიტულის მოხვეჭას. როგორც სევილიიდან იუწყებიან, სამდღიან გადაგანაზე დასასწრები ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია და ჩანს, პროფესიული ჩოგბურთის ისტორიაში უდიდესი აუდიტორიის მქონე ბურთაობის მოწმენი გავხდებით. ცნობისთვის: „ესტადიო ოლიმპიკო“ 26 600 ადამიანს იტევს.

ტურნირის ყველაზე მეტგზის, 31 -ჯერ მომგებს ამერიკელებს დევისთასზე 1995 წლის შემდეგ აღარ უმარჯვიათ, ხოლო ფინალში ისინი ბოლოჯერ 1997 წელს იყვნენ, როცა შვედთაგან იძლივნენ. საკუთრივ ესპანელებთან მათ უკანასკნელი 39 წლის განმავლობაში ექვსჯერ უპაექრიათ და ჯერჯერობით 4:2 უპირატესობენ. ბოლოჯერ ერთმანეთს ისინი 2002 წელს ამერიკულ ბალახზე დაუპირისპირდნენ და ჯიშად მეთიხნარე ესპანელთა ძლევა ოკეანისგაღმელებს არ გასჭირვებიათ. ახლა კი ბრძოლა თიხნარზე უნდა შედგეს და, ბუნებრივია, ეს გარემოება მასპინძელთა სასარგებლოდ მეტყველებს.

თუმცა ესპანელებს უკანასკნელ მომენტში გამოაკლდათ ხუან კარლოს ფერერო, რომელსაც მთელი სეზონი ტრავმების გამო წაემურდლა და ამ კვირის დასაწყისში თავადვე აღიარებდა, ახლა მხოლოდ 85 პროცენტით ვარ მზადო. მის ნაცვლად დღეს ენდი როდიკს 18 წლის რაფაელ ნადალი შეერკინება. სავარაუდოდ, ხვალ ნადალივე შეუწყვილდება ტომი რობრედოს ძმებ ბრაიანების წინააღმდეგ სათამაშოდ. დღევანდელ მეორე საერთეულო მატჩში კი კარლოს მოია და მერდი ფიში ითამაშებენ.

სხვაფრივ კი, სანამ ფინალამდე მიაღწევდნენ, ამერიკელებმა ჯერ ავსტრიელებს სძლიეს 5:0, შემდეგ შვედებს გაუსწორდნენ 4:1, ხოლო ნახევარფინალში ბელარუსებს აჯობეს 4:0. რაც შეეხებათ ესპანელებს, პირველ წრეში მათ ჩეხებს მოუგეს 3:2, ხოლო მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში ერთი და იმავე ანგარიშით — 4:1 — გასცდნენ, შესაბამისად, ჰოლანდიასა და საფრანგეთს.

**ლევან ძელაურაძე**

---

ოლიმპიზმი

# ყველამ თქვენს საქმეს მიხედეთ!

## ჟაკ როგმა მოშუღარნი დატუქსა



**2005 წლის** ივლისში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 2012 წელს გასამართი ოლიმპიური თამაშების მასპინძელს დაასახელებს და 5 კანდიდატის — მადრიდის, პარიზის, ლონდონის, ნიუიორკისა და მოსკოვის ქიშპობას წერტილს დაუსვამს. მანამდე კი ეს ხუთეული ერთ ამბავშია და ყოველი ქალაქის წარმომადგენლები ცდილობენ, კონკურენტს რეპუტაცია შეულახონ.

შარშან ფრანგები ბრიტანეთის პრემიერმინისტრ ტონი ბლერს უჩიოდნენ, ერთ-ერთ სამიტზე ლონდონი ისე მოიხსენია, თითქოს უკვე ჩაბარებული ჰქონდეს ოლიმპიადაო, თანაც მაშინ ინგლისის დედაქალაქი ჯერ კანდიდატადაც კი არ იყო დამტკიცებული. თავის მხრივ ესპანელები ფრანგების საქციელმა აღაშფოთა, აქაოდა, ეგენი ქვეყანაში მოქმედ უცხო ქვეყნების საელჩოებს სხვადასხვა საქმიანობაში ითრევენ და პარიზის კანდიდატურის „გაქაჩვას“ ცდილობენო.

სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმაც გადაწყვიტა, დაპირისპირებას ბოლო მოუღოს და ძლიერებს ამა ქალაქებისას სიტყვით მიმართა.

„ყოველი კანდიდატის საყურადღებოდ ვამბობ. დროა, ერთმანეთის საქმეში ცხვირის ჩაყოფას მორჩეთ და ყურადღება საკუთარი ქალაქის კეთილმოწყობას მიაპყროთ. აღშფოთებული ვარ შექმნილი სიტუაციით და მომავლისათვის იმედს ვიტოვებ, რომ საქმე უფრო ჯანსაღ კონკურენციასთან გვექნება, რომელიც ფეირპლეის პრინციპების დაცვით წარიმართება.“ ამ კვირაში დუბროვნიკში ხუთივე მხარის წარმომადგენელს ვხვდები და ამ საკითხზეც აუცილებლად დავილაპარაკებთ.“

მოკლედ ჟაკ როგის ასე გამოუვიდა, ყველამ თქვენ საქმეს მიხედეთო.

**ლადო ჭულუკიძე**

---

# იანუკოვიჩს უკრაინელი მორაგბეებიც მიაწვნენ



ვიქტორ იუშჩენკოს მხარში სპორტსმენებიც ამოუდგნენ

„კლიჩკო! მიდი და მოადე იანუკოვიჩს“ — ასეთი პლაკატიც გაჩნდა უკრაინის დედაქალაქში საკუთარი ხმებისა და პრინციპების დასაცავად გამოსულ მომიტინგეთა ხელში. ცნობილი ფაქტია, რომ სახელგავარდნილი მოკრივე ვიქტორ იუშჩენკოს მხარდამჭერია, თუმცა ის ერთადერთი სპორტსმენი არაა, რომელიც საკუთარ ხალხს გვერდში დაუდგა. კიევურ მიტინგს არანაკლებ კუნთმაგარი ბიჭები, მორაგბეებიც შეუერთდნენ.

ხარკოვული სარაგბო კლუბ „ლეგიონის“ პრეზიდენტმა ალექსანდრ კრივოპუსტოვმა განაცხადა: „ჩვენს კლუბში ისეთი მორაგბეებიც თამაშობენ, რომლებმაც ხმა იანუკოვიჩს მისცეს. თუმცა როცა დაინახეს, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, ხმა აიმაღლეს და სხვებთან ერთად ისინიც გამოთქვამენ პროტესტს. მალე დედაქალაქში კიდევ უფრო მეტი მორაგბე ჩამოვა და ჩვენთან ერთად კარვებში დაბანაკდება. პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მე თავიდანვე იუშჩენკოს მომხრე ვიყავი და ხმაც მას მივეცი.“

ვიქტორ იუშჩენკოს მხარდაჭერა უკრაინის რაგბის ფედერაციამაც ოფიციალურად გამოხატა.

**ლადო ჭულუკიძე**

---

ბეისბოლი

# ბენსონების შანსონი

## ერთთან დაწვები, მთელ გუნდთან დავწვები...

**„ნიუ იორკ მეტსის“** და მთელი ამერიკის ერთ-ერთი უძლიერესი ბეისბოლისტი კრის ბენსონი დიდ ხათაბალაშია. მისმა ცოლმა, სტრიპტიზიორმა ლამაზმანმა ანა ბენსონმა ნიუიორკულ რადიოშოუში პირდაპირ განაცხადა, თუ ჩემი ქმარი კიდევ ერთხელ მიღალატებს, მას ყველა თანაგუნდელთან, მწვრთნელებთან, ექიმებთან და მასაჟისტებთან დავწვებიო.

ანა ბენსონი ყოფილი მოდელია და თუ ამერიკელებს დავუჯერებთ, მისნაირი სექსუალური მეუღლე არც ერთ ბეისბოლისტს არ დაესიზმრება. ამ ქალმა რადიოშოუში უფრო დააკონკრეტა თავისი უცნაური ულტიმატუმი: „კრისს ვუთხარი, ვისთანაც გინდა, იმასთან მიღალატე, მაგრამ თუ წავასწარი ან ყური მოვკარი, მთელი შენი გუნდის ხელში გავივლი-მეთქი და არა მარტო გუნდის წევრებს, „აუტჩიკ ბიჭებსაც არ დავტოვებ ნაწყენს, ყველას მივცემ (შანსს). მგონი, კრისს თავმოყვარეობა შერჩა, თუ არადა, კარგად იყოს.“

აი, მუქარა! ამერიკელები კრის ბენსონზე ამბობენ, ეგ ისეთი მექალთანეა, ვერაფერი შეაჩერებსო. ჰოდა, დაქცეულა ოჯახი, „ნიუ იორკ მეტსს“ კი დიდი სიამოვნება ელის...

**ილია ნანობაშვილი**

---

ავტორბოლა

# ბარი ბიჭებით გაივსო

**საჯინიბო** ბარ-ის ხელმძღვანელობამ ესპანური ტესტებისთვის გასული სეზონის ახალგაზრდული ფორმულა 3-ის სამხრეთამერიკელ მსოფლიოს ჩემპიონს ალან ვან დერ მერვეს უხმო. ეს და კიდევ ორი ბრიტანელი ყმაწვილკაცი — ადამ კეროლი და ჯეიმს როსიტერი ბარ-მა ტალანტების შერჩევის პროგრამაში მოხვედრილი ცხრა პილოტიდან გამოარჩია.

საჯინიბოს მთავარ ინჟინერ ჯოკ კლირის თქმით, ახალწვეული მრბოლები ბარ-ის მთავარი პილოტების — ჯენსონ ბატონისა და ტაკუმა სატოს კონკურენტებად არ მოიაზრებიან. უბრალოდ, სამეული გამოცდილებას მიიღებს და უმაღლეს დონეზე რბოლას ნელნელა შეეჩვევა.

# ცინცაძის საქმეს ცსკა გაარჩევს
## მოსკოვს კიმის არ სჯერა



*გასულ შაბათს გიორგი ცინცაძე „სამარას“ განაცხადში იმიტომ არ იყო, რომ მთავარ მწვრთნელთან, კორეული ფესვების მქონე ოლეგ კიმთან კონფლიქტი აქვს. მთლად ისეც არ არის, არიქა, გამეცალეო, მაგრამ ქართველი გამთამაშებელი ხედავს, რომ ის კორეელს თვალში არ მოსდის და ძირითად გუნდსაც თავისი ნებით გაეცალა. ცინცაძე ახლა სამარელთა დუბლებშია და კიმის გუნდთან აღარც ვარჯიშობს. საშველს კი მოსკოვიდან ელის, სადაც მისი მფლობელი ცსკა იმ იმედითაა, რომ „სამარაში“ პრაქტიკაგავლილ და დალვინებულ ცინცაძეს გარკვეული დროის შემდეგ შეიმატებს. სამარაში კი რაც ხდება, ცინცაძე თავად მოგვითხრობს...*

— რუსეთის სუპერლიგის ბოლო მატჩის განაცხადში არ იყავი...

— რომც ვყოფილიყავი, რა მერე, მაინც არ მათამაშებს ოლეგ კიმი.

— კი მაგრამ, განაცხადში შეყვანასაც ხომ მწვრთნელი წყვეტს. აქამდე სისტემატიურად ხვდებოდი ძირითად გუნდში...

— თავად მე ვთხოვე მწვრთნელს, დუბლებში გადამიყვანეთ-მეთქი და კიმიც არ შემეწინააღმდეგებია — დიდი სიამოვნებითო და „ურალ გრეიტთან“ მატჩში ძირითადი გუნდის განაცხადში აღარ შემიყვანა. დიდებთან აღარც კი ვვარჯიშობ, მთლიანად დუბლიორთა გუნდში ვარ დაკავებული.

**— მხოლოდ იმიტომ მიიღე ეგ გადაწყვეტილება, რომ არ გათამაშებდნენ?**

— ამიტომაც და უფრო მეტად იმის გამო, რომ უსამართლობას ვხედავ ოლეგ კიმის მოქმედებაში. ხმას არ ამოვიღებდი, ცამდე მართალი რომ არ ვიყო, მაგრამ ფაქტია, რომ „სამარას“ ძირითადი გამთამაშებელი მე ვერაფერში მჯობს.

— ეგ შენი აზრია...

— მხოლოდ ჩემი აზრი როგორაა, როცა ყველა ხედავდა, რომ ვარჯიშებზე ტოლს არაფერში ვუდებდი ვიქტორ ზელენსკის, რომელიც ახლა ძირითადშია. ოფიციალურ მატჩებშიც არ შემირცხვენია თავი.

— ეგებ რაიმე სხვა მიზეზია? თუნდაც შენი ასაკი...

— ასაკი არაფერ შუაშია. თუ ეგრეა, მცირეწლოვანი ვარ და გამოცდილების მისაღებად უფრო მეტი უნდა ვეთამაშებინე, მით უფრო, რომ ცუდ ფორმაში ნაღდად არ ვარ. ყველაფერი კიმის ხასიათის ბრალია — რაღაც პრინციპები ამოუჩემებია. დუბლების მწვრთნელმა მითხრა, შენ არ ხარ პირველი, ვისაც კიმი ასე უსამართლოდ მოექცაო.

**— ადრე თქვი, რუსებს „ქაჩავს“ კიმიო. არადა, თავად კორეელია...**

— რუსი არაა, მაგრამ რუსულ კლუბში მუშაობს და ალბათ ასე ცდილობს ხელმძღვანელობის გულის მოგებას. კიმი უფრო ადგილობრივ მოთამაშეებს სწყალობს და არა საზოგადოდ რუსებს — ასეთი სახელი აქვს ამ მწვრთნელს კულუარებში.

**— ესე იგი სუპერლიგას გამოემშვიდობე...**

— ჯერჯერობით ასეა, მაგრამ ამგვარ გაურკვევლობაში ყოფნას არ ვაპირებ. ამ შაბათს მოსკოვში გვაქვს დუბლებს თამაში და ცსკას ხელმძღვანელობასაც შევხვდები, ვეტყვი საქმის რეალურ არსს და მერე თავად გადაწყვიტონ, რა როგორ აჯობებს.

— გუნდის გამოცვლას აპირებ?

— შესაძლოა, ეგრეც მოხდეს, ყოველ შემთხვევაში, რაღაც რომ შეიცვლება, უეჭველია. „სამარაში“ იმ პირობით დავრჩები, თუ იმდენს ვითამაშებ, რამდენსაც ვიმსახურებ. ხუთეულში დაყენებას არ ვითხოვ, მაგრამ არც სკამის მხეხავ მოთამაშედ ვთვლი თავს.

**— რომელიმე კონკრეტულ გუნდს ხომ არ უმიზნებ?**

— ახლა ვხვდები, რომ სეზონის წინ შევცდი, როცა პარიზის „რასინგში“ არ წავედი. ახლა კონკრეტული ვარიანტი არ მაქვს, მაგრამ თუ გამოჩნდა, დაუფიქრებლად წავალ. ცსკა-ს დიდი იმედი მაქვს, ვიცი, რომ უყურადღებოდ არ დამტოვებს და რამე გამოსავალს მომიძებნის. ისე, არც ისაა გამორიცხული, რომ ცსკა-ში დავბრუნდე. ვნახოთ, რა იქნება.

**— შენთვის კარგად ნაცნობ პაველ გოოგეს რა პოზცია უკავია? ის ხომ „სამარის“ ერთ-ერთი მწვრთნელია...**

— რა უნდა ქნას გოოგემ, როცა ყველაფერს კიმი წყვეტს?! პაველ ედმუნდოვიჩს ძალიანაც უნდა, რომ ვითამაშო, მაგრამ... მომავალ კვირაში ალბათ გადაწყდება, რა როგორ იქნება. ჩემი ნება რომ იყოს, კიმთან არ გავჩერდებოდი.

**ირაკლი ბერტაია**



ლებრონ ჯეიმსი



სტივ ნეში

# ჯეელი და კანადელი
## ნბა-მ პირველი წიწილები დათვალა

**ნოემბერმა** ჩაიარა და ნბა-მაც რეგულარული ჩემპიონატის პირველი თვის რჩეულები დაასახელა — თითო-თითო კაცი აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. კლივლენდელი ლებრონ ჯეიმსი (აღმოსავლეთი) და ფინიქსელი სტივ ნეში (დასავლეთი) — აი, ეს რჩეული ჯეელები.

203-სანტიმეტრიანი უნივერსალი ჯეიმსი ჯერ 20 წლისაც არ მოყრილა და უკვე ასეთ ამბებს ატრიალებს. 24 ნოემბერს მან ჩემპიონ „დეტროიტს“ 43 ქულა დაატეხა და „კლივლენდს“ 16 ქულით მოაგებინა. კიდევ ერთ გამორჩეულ მატჩში ყმაწვილმა ლებრონმა მფრინავ „ფინიქსს“ 31 ქულა ჩაუგდო და ამას ზურდად 8 მოხსნა, 7 პასი და 3 ჩაჭრა მოაყოლა. „კლივლენდმაც“ ოვერტაიმში სძლია დასავლელი ლაურეატის სტივ ნეშის გუნდს. ნოემბრის 14 თამაშში ჯეიმსმა საშუალოდ 26,3 ქულა, 7,8 მოხსნა, 6,1 პასი, 2,4 ჩაჭრა და 1,1 დაფარება მოაგროვა. ნამდვილად შთამბეჭდავი მონაგარია. ხოლო მისმა გუნდმა ამ 14 შეხვედრიდან 9 მოიგო და აღმოსავლეთში მეოთხე ადგილი დაიჭირა.

ბუზებს არც სტივ ნეში ყლაპავდა. მართალია, ქულებს ჯეიმსივით ვერ იხვეჭს, მაგრამ სამაგიეროდ სხვებს ახვეჭინებს და ნოემბრის თამაშებში საშუალოდ 16,0 ქულასთან ერთად 11,4 პასიც მოუგროვდა. ამ მხრივ ნეშს ბადალი არ ჰყავს. 188-სანტიმეტრიანი კანადელი გამთამაშებლის პასები „ფინიქსისთვის“ ქარიან ზღვაში იალქანივითაა. წინა სეზონში პლეი ოფს მიღმა დარჩენილი არიზონელები თამაშს თამაშზე იგებენ და 12 გამარჯვებითა და ორად ორი მარცხით ორივე კონფერენციაში საუკეთესოები არიან.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

1 დეკემბერი

**ბოსტონი 101:100 მილუოკი**
ბოსტონი: პეიტონი (10), ველში (9), პირსი (23), ლაფრენცი (14), ბლუნტი (16 ქულა, 16 მოხსნა); დევისი (12), ბანქსი (7), ალენი (4), მაკარტი (4), პერკინსი (2), ჯეფერსონი
მილუოკი: უილიამსი (10), რედი (23), მეისონი (16), ვან ჰორნი (21), გაძურიჩი (2); ჰამილტონი (12), ფიზერი (11), ფაჩულია (5 წუთი, 3 ქულა, 1 მოხსნა), ჯეიმსი (2), სტრიკლენდი

**ორლანდო 129:108 ტორონტო**
ორლანდო: ფრენსისი (23), ჰილი (17)
ტორონტო: კარტერი (21)

**ნიუ ორლეანი 81:94 საკრამენტო**
ნიუ ორლეანი: ვესლი (18)
საკრამენტო: მილერი (24)

**სან ანტონიო 105:72 ფილადელფია**
სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება), ბრაუნი (24)
ფილადელფია: ჯექსონი (18), აივერსონი (14)

**სიეტლი 129:119 იუტა**
ძირითადი დრო 110:110
სიეტლი: ალენი (38), ლუისი (23)
იუტა: ბუზერი (36), ოქური (25)

**გოლდენ სტეიტი 99:107 მინესოტა**
გოლდენ სტეიტი: მერფი (25 ქულა, 17 მოხსნა), რიჩარდსონი (21)
მინესოტა: კასელი (26 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), შჩერბიაკი (20), გარნეტი (17 ქულა, 16 მოხსნა, 9 პასი)

**ვაშინგტონი 95:68 ნიუ ჯერსი**
ვაშინგტონი: არენასი (30)
ნიუ ჯერსი: უილიამსი (17), ბესტი (16)

**ფინიქსი 120:101 კლივლენდი**
ფინიქსი: ნეში (21), რიჩარდსონი (21), სტუდემაიერი (21), ჯონსონი (18)
კლივლენდი: მაკინისი (26)

**კლიპერსი 88:76 ინდიანა**
კლიპერსი: ბრენდი (27), საიმონსი (20)
ინდიანა: გილი (21), ჯონსი (19

**ნიუ იორკი 90:82 მემფისი**
ნიუ იორკი: მარბერი (26)
მემფისი: ველსი (16)

**ჩიკაგო 92:84 ლეიკერსი**
ჩიკაგო: კარი (18 ქულა, 10 მოხსნა), დენგი (18), ჰაინრიხი (17), გორდონი (17), ჩანდლერი (10 ქულა, 18 მოხსნა)
ლეიკერსი: ბრაიანტი (28)

## Euroleague ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. V ტური. 2 დეკემბერი

**A ჯგუფი**

პარტიზანი 87:73 ოლიმპიაკოსი
ეფესი 74:70 რეალი

**B ჯგუფი**

სკავოლინი 86:82 ჟალგირისი
ვილერბანი 61:54 ოლიმპია
სიენა 88:85 ბარსელონა
აეკ 110:113 მაკაბი

# ენტონი არ ეწევაო...
## მეზღაპრე კანინგემმა თავისი გაიტანა

„**დენვერის**“ ახალგაზრდა ვარსკვლავი კარმელო ენტონი მშრალად დაუძვრა იმ პროკურორებს, რომლებიც მას მარიჰუანას შენახვას ედავებოდნენ. სამართალდამცავებს კარმელოსთვის ეს ბრალდება რომც დაემტკიცებინათ, მოსაწევის ისეთ მცირე ულუფაზე იყო ლაპარაკი, დენვერელ ვარსკვლავბიჭუნას ბევრიც არაფერი დააკლდებოდა, თუმც სახელის გატეხვასო... ამერიკელებსაც გაუგონიათ...

საქმე კი ასე იყო: 15 ოქტომბერს ენტონის ხელჩანთაში ერთი პაპიროსი მარიხუანა უპოვეს, როცა ის მილუოკიში საგამოფენო მატჩის სათამაშოდ მიემგზავრებოდა. პოლიციელებს ენტონი მაშინვე არ დაუბორკილებიათ, მილუოკიში გზა დაულოცეს და მეორე დღეს განყოფილებაში დაიბარეს. თუმც სამართალდამცავებთან სხვა კაცი მივიდა, ვინმე ჯეიმს კანინგემი, რომელიც ისეთ ზღაპარივით ამბავს მოყვა, პოლიციელებმა თვალები დაჭყიტეს.

მოკლედ მოვყვეთ: ჩავედი დენვერში პირად საქმეზე და ბარგის შესანახად ჩემი მეგობრის, კარმელო ენტონის სახლში მივედიო, უთქვამს კანინგემს. „საქმოსანს“ დენვერელი ვარსკვლავი სახლში არ დახვედრია და ისიც თვითნებურად შესულა შინ, ენტონის მეგობარი ვარ და ჩვენში ეგეთები მოსულაო. როცა კანინგემს საქმეები მიუგვარებია, მშობლიურ სენტ ლუისში გაფრენილა, მაგრამ ენტონის ჩანთაში, რომელიც მან დენვერში ყოფნისას საქმეზე გაიყოლა, მარიხუანა დარჩა.

აი, ეს „ამბავი“ დაიჯერა პოლიციამ და ენტონი გაამართლა. კანინგემს კი ბევრიც არაფერი დააკლდა. მისი მსჯავრი ჯერ არ გამოუტანიათ, მაგრამ ამერიკული მედიის ცნობით, ჰა და ჰა, 100 დოლარით დააჯარიმონ, ციხეში ჩასმაზე კი ლაპარაკიც არ არის. მოსაწევი, ერთ დაბოლებას რომ ძლივს ეყოფოდა, იმდენი ყოფილა...

**ირაკლი ბერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბექჰემები

დევიდ ბექჰემმა ახალი სასწავლო დივიდი გამოუშვა ცნობილი ფილმის პერიფრაზით. დისკს ჰქვია: „მართლა ისე ითამაშე, როგორც ბექჰემი თამაშობს“. ამ დისკზე ბექჰი სულ კომპიუტერულად ასწავლის ნორჩებს, როგორ დაარტყან ბურთს და როგორ ჩააწოდონ მისებური პასები. ამ დროს კი შანხაიში „ელიტ მოდელ ლუქის“ კონკურსის ჟიურიში ყოფილა მისი ცოლი ვიქტორია. მოკლედ, აღებული აქვთ მთელი მსოფლიო.






REUTERS ფოტოებიდან

# აი, კაცი

ლოიდ სკოტი ოდესღაც ლეიკემიით იყო დაავადებული, მერე კი ძველებურ ორთვალას მოაჯდა და 50 დღის განმავლობაში მთელი ავსტრალია გადაუკვეთია პერთიდან სიდნეიმდე, რათა ლეიკემიის ბავშვთა ფონდისათვის ფული შეეგროვებინა. სკოტმა 4,500 კილომეტრი გაიარა და გუშინ სიდნეიშიც შემოვიდა.



REUTERS სიდნეიდან

# ენდის კეტი

ახლა არ გაგეცინოთ და, ენდი როდიკს ბეისბოლის კეტითაც შეუძლია თავდაცვა და შეტევა. ამერიკელია ბოლოსდაბოლოს. ფოტო კი სევილიიდანაა, სადაც ამერიკელები დევისის თასისთვის საბრძოლველად ჩასულან.



REUTERS სევილიიდან



REUTERS დუბაიდან

# ამ გოგომ მოიგო

ამ გერმანელმა გოგომ კამრაუ ბრიტამ, ესესაა, მსოფლიოს ჩემპიონობა მოიგო 25 კილომეტრზე ცურვაში. შეჯიბრი დუბაიში იყო. მეორეზე ჰოლანდიელი ედით ვან დიკი გავიდა. მესამეზე რუსი ნატალია პანკინა...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კულაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge